# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 12 სექტემბერი 2005 №208 (2531) ფასი 50 თეთრი





# ზურა სხვა დონეზე

გიორგი ქინქლაძის, მიხეილ ყაველაშვილის, თემურ ქეცბაიას და რატი ალექსიძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი მეხუთე ქართველია, ინგლისური პრემიერლიგა რომ დააგემოვნა. გუშინ ხიზანიშვილის ბლექბერნული დებიუტი შედგა — „ბლექბერნი" სტუმრად ნულოვან ფრეს გამორჩა „ბოლტონთან". ხიზანიშვილმა მარჯვენა სტოპერის პოზიციაზე სრულად და უშეცდომოდ ითამაშა, ელ ჰაჯი დიუფს თუ ჯეი-ჯეი ოკოჩას არაფერი დაუთმო, რამდენჯერმე მარჯვე ილეთითაც გამოირჩა. ნამატჩევს კი „ბლექბერნის" მენეჯერმა მარკ ჰიუზმა თქვა, ხიზანიშვილს დებიუტანტობა სულ არ ეტყობოდაო.

აი, რა უთხრა „სარბიელს" ხიზანიშვილმა, ვისაც წუხელ შევეხმიანეთ...

— ურიგოდ ნამდვილად არ მითამაშია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მოგება შეგვეძლო, მთლად კმაყოფილი არ ვარ. თუმცა ისიც კარგია, რომ არ წავაგეთ.

**— მატჩის შემდეგ მარკ ჰიუზმა რა გითხრა?**

— ძალიან თბილად მელაპარაკა და ჩემზე პრესკონფერენციაზეც ისაუბრა. ხიზანიშვილით კმაყოფილი ვარ, ის „ბლექბერნს" მნიშვნელოვან პრობლემებს მოუგვარებს, დღეს მას დებიუტანტობა სულაც არ ეტყობოდაო. ერთი სიტყვით, ჰიუზმა შემაქო.

**— „ბოლტონთან" მარჯვენა სტოპერად ითამაშე და მეტწილადაც ასე იქნება?**

— შესაძლოა, ჰიუზმა მარჯვენა მცველადაც მათამაშოს. ამ თემაზე მე და მწვრთნელმა უკვე ვისაუბრეთ.

**— მოკლედ, პრემიერლიგურ სიტუაციას კარგად შეეწყვე...**

— შოტლანდიასთან შედარებით აქ სულ სხვა დონეა. მომდევნო ტურში „ნიუკასლს" ვმასპინძლობთ, მერე კი სტუმრად „მანჩესტერ იუნაიტედს" ვეთამაშებით...

აქვე შევახსენებთ ქართველთა უწინდელ დებიუტებს პრემიერლიგაში:
გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი), 1995 წლის 19 აგვისტო
სიტი 1:1 ტოტენჰემი
მიხეილ ყაველაშვილი (მანჩესტერ სიტი), 1996 წლის 6 აპრილი
სიტი 2:3 იუნაიტედი
თემურ ქეცბაია (ნიუკასლი), 1997 წლის 9 აგვისტო
ნიუკასლი 2:1 შეფილდ უენსდეი
რატი ალექსიძე (ჩელსი), 2000 წლის 9 დეკემბერი
ჩელსი 4:0 დერბი

დავით თავართქილაძე

# შაბათობა, სახელად ერთით ნოლი

საქართველოს ჩემპიონატის პარასკევს დაწყებული მეხუთე ტური შაბათური 1:0-ებით გაგრძელდა. ხუთი თამაში დამთავრდა ამ ანგარიშით და სენსაციური არცერთი ყოფილა — „ამერმა" მოგება გორში გაიხსენა, „დინამომ" არაჩემპიონურად აჯობა დებიუტანტ „ცხინვალს", „ლოკომოტივმა" კი ბათუმში გააგრძელა წაუგებელი სერია. სწორედ ზღვისპირეთში შეიწირა ტურმა ერთი მწვრთნელი — „ბათუმის" თავკაცი ამირან გოგიტიძე გადადგა.

და მაინც, ამდენ ერთგოლიან თამაშში ერთი „ერთგუნდა თამაშიც" გამოერია: „ბორჯომმა" ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანა აუტსაიდერ „თბილისს" და მეორე ადგილზე წამოსკუპდა, ხოლო ბორჯომელთა ფორვარდი გიორგი ქორიძე გოლებით დატკბა — ხუთიდან ოთხი მისი იყო...




დილა — ამერი 0:1. რა ბრძოლაც იყო, ფოტოზეც ჩანს — თავი არავის დაუზოგავს

ბადრი კეთილაძის ფოტო

## გიო ახვლედიანის სვეტი

# ბრაზილია და შემადგენლობა

აი, უყურეთ ბრაზილიას. ეს რა შემადგენლობა მოხერხდა?! ამის მაგვარი 82-ში თუ ჰყავდათ, უფროსი თაობის ქომაგებს არ ეწყინებათ და, ეგებ, 70-შიც.

მაგრამ, მოდით, ჩვენს შემადგენლობასაც მივხედოთ. ზოგადად, შემადგენლობას, მაინცდამაინც თერთმეტ კაცს კი არა. ეს თერთმეტი კაცის ამბავი ვიცით, ხან უკეთესი იქნება, ხან ცოტა უარესი. მიიწვევენ, არ მიიწვევენ, სხვაობა ოდნავია. ეს არის ყველაზე დიდი უცნაურობა.

სხვა დიდი უცნაურობა ის გახლავს, რომ ერთიდაიგივე თერთმეტი კაცი ხან საშინელია, ხან ასატანი, ხანც ამ ორზე ოდნავ უკეთესი. ან, მეტოქეზეა დამოკიდებული.

ბრაზილიაც ასეა. უბრალოდ, როცა ბრაზილია საშინელია, დიდი დიდი, არგენტინასთან წააგოს. საქართველო კი ყოველთვის წააგებს, თუ, რა თქმა უნდა, მეტოქედ მაინცდამაინც ვინმე ისეთი არ შემოხვდა, ვინც ერთმანეთში ხუთი წელიწადია აღარ ურევს ფეხბურთს და კალათბურთს. ასეთია ტრადიცია, რომელიც ბარე 15 წელიწადს კი ითვლის.

ამ 15 წელიწადში გამოერევა ხოლმე, რომ საქართველო ფხას გამოაჩენს, დანარჩენი ძველებურად მიდის.

მწვრთნელები იცვლებიან, შემადგენლობაც იცვლება მწვრთნელების მიხედვით.

საქართველოს ჰყავს ოთხიხუთი კარგი ფეხბურთელი. თუ რაღაც არ მოხდა, თან სრულიად არასაფეხბურთო, ისინი ყოველთვის თამაშობენ, დანარჩენი იცვლება. მწვრთნელების მიხედვით. ამ ოთხი-ხუთი კაცის გარდა, კვალს ვერავინ დატოვებს. ასევე იცვლება ტაქტიკა, მწვრთნელების მიხედვით.

თერთმეტი კაცი კი ან ცოტა უარესია, ან ცოტა უკეთესი. იმის თქმა, რომ საქართველო უცვლელია, არავის უნდა.

თითქოს ეს ყველაფერი დროებითია. უკვე 15 წელიწადია.

იცვლება მხოლოდ ერთი რამ: როცა თავკაცად უცხოელი მწვრთნელია, ის ჟურნალისტებს ულიმის, როცა ქართველი, უბღვერს. პრინციპში, ესეც უცვლელი გამოდის. ეს ხომ საქართველოა. ასეთი შემადგენლობაა.

ბრაზილიაშიც ასე, სულ შემადგენლობაა, ზოგჯერ ცოტა უარესი, ზოგჯერ უკეთესი. ოღონდ, იქ ისეთი შემადგენლობაა, ბრაზილიაში რომ იციან. წაგებაში კი არ არის საქმე. აგე, ინგლისმა ბელფასტში წააგო. საქმე მარადიულობაშია.

---

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 5 ტური



# სოხუმი — სიონი: მესამე ტაიმი სასამართლოში

## სკანდალი თუ აგორდება, ვისი თავი გაგორდება?

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურის პირველი მატჩი „სოხუმი“ — „სიონი“ სკანდალური გამოდგა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სოხუმელთა თავკაცმა გოჩა ჟორჟოლიანმა მავანი ბოლნისელი ფეხბურთელი თამაშის ყიდვის მცდელობაში დაადანაშაულა.

ეს ამბავი ასე იოლად რომ არ დასრულდებოდა, რა გამოცნობა უნდა. ჰოდა, გუშინ „სიონის“ ხელმძღვანელებმა და მწვრთნელ-ფეხბურთელებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს.

საქართველოს ჩემპიონატებისთვის თამაშების ჩაწყობა და ამგვარი რამე-რუმეები უცხო რამ არასოდეს ყოფილა, ერთი-ორჯერ ფაქტზეც გამოუჭერიათ, თუმცა „სოხუმ“ — „სიონის“ მატჩისას მომხდარი მაინც უპრეცედენტო გვგონია: ასე ღიად და ხალხის გასაგონად ადრე არც ერთ მწვრთნელს არ უთქვამს, მეტოქე ჩემი ფეხბურთელების მოქრთამვას ცდილობდაო.

აი, რას ამბობენ სოხუმელთა საქციელით აღშფოთებული ბოლნისელები...

***ხვიჩა ქასრაშვილი, მთავარი მწვრთნელი:*** ძალიან მეუხერხულება ახლა თქვენ წინ ჯდომა და თავის მართლება, რადგან საამისო არაფერი მჭირს. ისე გამოდის, რომ თავი აბსურდის გამო უნდა ვიმართლო. რა გაეწყობა, ყველაფერს თავიდან ბოლომდე ვიტყვი და დასკვნები საზოგადოებამ გააკეთოს: თამაშის დაწყებამდე, მოთელვისას, გოჩა ჟორჟოლიანი მომიახლოვდა და მითხრა, შენმა ერთ-ერთმა ფეხბურთთელმა მამუკა რუსიას დაურეკა და თამაშის ჩაწყობა შესთავაზაო. მისი ნათქვამი, ცხადია, გამიკვირდა და ვთხოვე, თუ ასეა, მითხარი, რომელმა ფეხბურთელმა დაურეკა-მეთქი. მეგონა, გოჩა მის ვინაობას გამიმხელდა, მაგრამ უარი მითხრა, გამოვიძიებ და გაგაგებინებო.

თამაშის მერე პრესკონფერენციაზე გოჩამ გამარჯვება მომილოცა და როცა გვერდით მომიჯდა, ვთხოვე, პრესკონფერენციის დასრულებისთანავე ამ თემაზე გველაპარაკა, მაგრამ... უცებ განაცხადა, „სიონის“ მოთამაშემ ჩემს ფეხბურთელს წაგების სანაცვლოდ ფული შესთავაზაო და წავიდა.

მეორე დღეს ჩემთან შინ მოდის მამუკა რუსია, რომელიც, თუ ამ ქვეყანაზე ვინმე გააჩნია, ყველას იფიცებს და მეუბნება, ასეთი რამ არ მომხდარა, ჩემთან არავის დაურეკავსო. მოგვიანებით რუსია ჩვენს მეკარე დავით ასლანაძეს ეუბნება, ხვიჩას ისე ახლოს არ ვიცნობ და მან რომ არ დამიჯეროს, შენ მაინც იცოდე, რომ მართალი ვაროო.

რუსიას ჟორჟოლიანისთვისაც უთქვამს, ასეთი რამ არ მომხდარა და იქნებ ტონი შეარბილოო, რაზეც გოჩა დათანხმებულა, მაგრამ... შეხვედრაზე და სიმართლის გარკვევაზე მაინც უარი გვითხრა და ისეთ მდგომარეობაში ჩაგვაგდო, რომ ვალდებულები ვართ, თავი დავიცვათ.

***გია აბაზაძე, კლუბის დირექტორი:*** ჩანს, ბევრს არ სიამოვნებს, პირველ ადგილზე რომ ვართ. ამას წინა ტურებშიც ვგრძნობდით, მაგრამ ახლა ყველანაირ ზღვარს გადააჭარბა. გოჩა ჟორჟოლიანს საერთოდ არ ვიცნობ და მასზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ეგ კაცი გიჟი და სამკურნალო თუ არის, ჯობს, ფეხბურთს მოაშორონ. არავის მივცემ უფლებას, ჩვენ მიერ მოპოვებულ ქულებში ეჭვი შეიტანოს. ჩვენ სუფთად ვთამაშობთ და თუ სოხუმელები არ იტყვიან იმ ფეხბურთელების გვარს, რომელზეც ეჭვი აქვთ, სასამართლოში ვუჩივლებთ ცილისწამებისთვის. არავის ეგონოს, რომ ამ საქმეს შუა გზაში მივატოვებთ.

***დავით სილაგაძე, კლუბის დირექტორატის წევრი:*** მოგვიანებით ისიც ითქვა, „სიონმა“ მსაჯები მოისყიდაო. არც კი ვიცი, რა ვუწოდო ამას. „სოხუმთან“ მატჩში მსაჯმა ოთხი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი მოგვცა და ჩვენ მოვისყიდეთ?! მით უმეტეს, ბოლო მატჩებია, მსაჯობით უკმაყოფილოები ვართ.

ასეთი განცხადებებით ჩვენ საქმე გვიფუჭდება. ვაშენებთ თანამედროვე საწვრთნელ ბაზას სოფელ რატევანში, კაზრეთში მოედანს რეკონსტრუქციას ვუტარებთ, კლუბში ფინანსური მდგომარეობა მყარია და ყოველივე ამის შემდეგ ჩვენმა პრეზიდენტმა შეიძლება იფიქროს, ესენი თურმე თამაშებს ყიდულობენო. რატომ? რისთვის? იმის გამო, რომ ვიღაცამ წამოაყრანტალა, ფეხბურთელების მოქრთამვას ეცადნენო?! ეს ხომ სისულელეა!

შეიძლება გაგიკვირდეთ და, ამ საქმის გამოძიებას რომ ვეცადეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ერთი კვირის წინ თავად სოხუმელებს დაურეკავთ ჩვენი ფეხბურთელისთვის და უთქვამთ, 3:3 ვითამაშოთო. საიდან მოდის ამ ხალხის თავში ასეთი აზრები?

***დავით ბოლქვაძე, გუნდის კაპიტანი:*** ახალგაზრდული გუნდი გვყავს, პირველ ადგილზე ვართ და რომ გვგონია, ხალხი „სოხუმთან“ მოგების მერე ჩვენს ქებაში იქნებოდა, ასეთ სკანდალებზე ლაპარაკობენ. ეს აბსურდია. ასეთი რამ თუ მართლა მოხდა, რატომ მანამდე არ თქვა ჟორჟოლიანმა?

***კოკა მიქუჩაძე, თავდამსხმელი:*** ახლა გუნდში დაძაბული სიტუაციაა. საგანგებო კრებაც გვქონდა და ყველამ თქვა, რომ რაც მოხდა, სისულელეა. კარგი იქნება, თუ ეს ამბავი მალე დამთავრდება.

**ქახა შალამბერიძე**

---

# თელავში სამი ქულა დანწურეს

**თელავი. 10 სექტემბერი. 16 საათი. ზიზი ჩოხელი. 5 000 (ტევადობა 6 000)**

## კახეთი 1:0 სპარტაკი

| | |
|---|---|
| 1:0 ბურდული (6) | |
| **კახეთი:** ძამუნაშვილი, ზ. ლაბაძე, გ. ნადირაშვილი, ტარაღაშვილი, ბედოიძე, კუპრაშვილი, კობაიძე, კუნჭულია (სოსელია 58), ნ. დავითაშვილი (ბ. ბურნაძე 85), დ. ბურდული (კევლიშვილი 70), სიხარულიძე<br>სათადარიგონი: ოთარაშვილი, იმერლიშვილი, ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი<br>**მწვრთნელი:** ოთარ კორღალიძე | **სპარტაკი:** ნაფეტვარიძე, ტაბიძე, ჯანგიძე, ელიზბარაშვილი (მაღლაფერიძე 84), იმნაიშვილი, კოტრიკაძე (დანელია 89), თ. დემეტრაძე (ჩანტლაძე 58), მალიჩავა, ხუბუა, მალანია, ურუშაძე<br>სათადარიგონი: დევაძე, რიჟამაძე, ალექსაია<br>**მწვრთნელი:** გოგლა იმნაძე |
| **გაფრთხილება:** დავითაშვილი (31), ჯანგიძე (40), მალანია (41) | |
| **მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი) | |
| **ინსპექტორი:** ა. მილჩენკო | |

**ვაჟა ხუციშვილი** თელავიდან

**„კახეთმა“** პირველი საშინაო გამარჯვება მიითვალა. ოთარ კორღალიძემ ნამატჩევს თქვა: „მოგება კარგია, მაგრამ თამაშის ხარისხით მთლად კმაყოფილი არ ვარ“.

ხარისხიანი ვერა, მაგრამ ხალისიანი მატჩი კი გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ხუთიათასამდე მაყურებელმა ერთ გოლზე მეტი ვერ ნახა. ეტყობა, თელავის სტადიონს კარგი სტილისტი ჰყავს, რადგან ბალახი კოხტად იყო გაკრეჭილი, ბურთი სიამოვნებით დაგორავდა და მეტოქეებმაც საკმაოდ მაღალ ტემპში ითამაშეს.

„სპარტაკს“ მეორე წუთზევე შეეძლო დაწინაურება. ძამუნაშვილი ვერ მისწვდა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს, რომელსაც ურუშაძემ თავი დაჰკრა, მაგრამ ბურთი ცარიელ კარს ასცდა.

ამ მომენტიდან ოთხ წუთში ბურდულმა გაიტანა — საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა და მეკარის ნახტომი ამაო გამოდგა. ნაფეტვარიძემ ხელი კი წაჰკრა ბურთს, მაგრამ მოსაგერიებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

აშკარაა, რომ ჯერჯერობით თამაშმოუგებელ „სპარტაკს“ მეგოლე აკლია. გუნდის ნახევარდაცვა შეტევის ორგანიზებას ახერხებს, ფლანგებსაც კარგად იყენებს, თუმცა დამსრულებელი ფორვარდი არ ჰყავს.

პირველი ტაიმის ბოლოს „კახეთს“ ორი კარგი მომენტი ჰქონდა. კარიდან ათიოდ მეტრში მყოფმა სიხარულიძემ დაარტყა და ბურთი მცველს მოხვდა, შემდეგ კი კობაიძემ დაჰკრა დაახლოებით იმავე ადგილიდან და ნაფეტვარიძემ იყოჩაღა.

შესვენების შემდეგ უპირატესობა „სპარტაკისა“ იყო, მაგრამ თბილისელებმა გოლამდე საქმე ვერ მიიყვანეს. „კახეთი“ კონტრშეტევებზე გადაერთო და საგოლე მომენტებიც შექმნა. 52-ე წუთზე წინგამოსულ ნაფეტვარიძეს ბურდულმა ბურთი თავზე გადააველო, თუმცა მან კარში შესვლა არ ინება — ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე კი ხაზზე დაეცა...

შეხვედრის მიწურულს „სპარტაკმა“ მეტოქის ნახევარზე დაიბუდა, მაგრამ ამაოდ უტრიალა ძამუნაშვილის კარს — მასპინძელთა დაცვა კარგად თამაშობდა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 5 ტური



გორელებს ამერელთა მცველი გიორგი კვახაძეც (№27) უტევდა



მატჩის ერთადერთი გოლი სულიკო დავითაშვილმა გაიტანა

ბადრი [illegible] ფოტოები

# დენის წყარო

**ილია ნანობაშვილი** გორიდან

„ამერს" ჩემპიონატ-თასიანად მიჯრით სამი მატჩი ვერ მოეგო და გორში ნავსის გასატეხად ჩავიდა. გიორგი ჩიხრაძის გუნდს დისკვალიფიცირებული კაპიტანი გიორგი დავითნიძე, ტრავმირებული გამთამაშებელი გიორგი დეკანოსიძე და 19-წლამდელთა ნაკრებში მივლენილი რამდენიმე ჭაბუკი აკლდა.

„დილა" კი შარშანდელივით აღარ ბეჩავობს, განვლილ ორ საშინაო თამაშში ექვს ქულას უწია, მაგრამ მაინც — გუშინწინ მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო. „ამერი" ქართლელებზე ძლიერია, ეს არის და ეს... თუ თბილისელების დანაკლისზე ვთქვით, „დილამ" რაღა დააშავა. ვლადიმერ ხაჩიძეს საამქროდ ლევან გოჩაშვილი და რევაზ ხაჭაპურიძე მოისაკლისა, რის გამოც მწვრთნელმა ფორვარდ-ნახევარმცველი ქრისტეფორე შატაკიშვილი დაცვის ცენტრში დაწია და ბევრიც არ წაუგია — „შატაკა" ერთ-ერთი საუკეთესო იყო გორელთაგან.

რაღაცნაირად ჩახუთულად დაიწყო მატჩი. საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე პრესინგიც და წვრილ-წვრილი უხეშობებიც საკმაოდ იყო. „ამერი" უკეთესად გამოიყურებოდა, ტრავმამოშუშებული დავით სევასტოპულო ხშირად ცენტრამდე ჩამოდიოდა და „მეორე ფორვარდის" როლს კარგად ასრულებდა.

თუმც პირველი ჩხვლეტა „დილასი" იყო. სტუმართა მეკარე ლადო ნადირაშვილმა გამოსვლაზე ბურთი ვერ შეიმაგრა, გორელმა მიხეილ თაყაძემ კი პირველ ჯერზე მცველებს გაარტყა ბურთი, დამატებაზე კი „ყვავებს გაუგზავნა". სწორედ აქ, ტაიმის შუაწელს იყო ათწუთიანი მონაკვეთი, როცა „ამერი" დაბნეული ჩანდა, ხოლო „დილა" ჯიქურ აწვებოდა და დავით პეტრიაშვილის პასის შემდეგ კახა წუწუნავას ცოტაღა დააკლდა მიზნამდე.

ეტყობა, გორელებს ძალა აღარ ეყოთ. „ამერმაც" მოუჭირა მარწუხებს, 20 წლის საყრდენი შუახაზელი დენის დობროვოლსკი ჯარასავით ტრიალებდა, ზოგჯერ მარტო ერეოდა სამ მეტოქეს და არა მგონია, ვაჭარბებდეთ — დობროვოლსკი საუკეთესო იყო გუშინწინდელ მატჩში.

33-ე წუთზე სწორედ დენისმა იბრძოლა დაკარგულ ბურთზე, რომელიც საჯარიმოს მისადგომებთან სულიკო დავითაშვილს მიუვიდა და ამერელთა ბომბარდირმაც გაიხსენა, რომ პირველი ტურის შემდეგ გოლი არ გაეტანა —ცაციათი დაბალ კუთხეში შესვა ბურთი — 0:1.

„დილა" გასატანად გაიწიაო, ვერ ვიტყვით. შედარებით ინერტული ალეკო კაიდარაშვილის საქმეს ისევ დობროვოლსკი ავსებდა, დაცვაში მარჯვნივ-მარცხნივ კი ამირან კედელაშვილი და ჯაბა ბერიანიძე გორელებს გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ. ეგ იყო, გიორგი ჩიხრაძეს ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე სამი კაცის გამოცვლა დასჭირდა, თუმც ვერც გიორგი სილაგავამ, ვერც კონსტანტინე დარსანიამ და ვერც გივი ჩხეტიანმა გორელებს ფლანგი ვერ აუბუქეს.

უცნაური კი ის იყო, რომ „ამერმა" მეორე ტაიმი გაცილებით უკეთ ჩაატარა და გოლს ვერ გამორჩა. არადა, დავით სევასტოპულოს ჯერ დარსანიას გამჭოლი პასის, შემდეგ კი დავითაშვილ-კოშკაძის ნაკომბინაციევს უნდა შეეგდო, მაგრამ ორჯერვე უხერხულად მიარტყა ბურთს ფეხი.

„დილა"? გორელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ნადირაშვილის კართან ნახევარმომენტიც ველარ შექმნეს. მასპინძლებმა ორ-სამ წუთიანი შტურმისმაგვარიც ვერ მოაწყვეს — დავითაშვილს მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა მათი მცველები და თუ სახეიროს ვერაფერს ქმნიდა, ჯარიმებს მაინც იკიდებდა. ეგაა, „აბრეზა" ზოგჯერ ზედმეტად ათრევდა ბურთს და ერთი-ორჯერ კარისკენ გაჭრილი სევასტოპულო ვერ დაინახა.

„დილამ" კი თამაში ათი კაცით ჩაამთავრა. გამოცდილი გიორგი რევაზიშვილი ლამის შვილისტოლა გიორგი ნიკოლაიშვილს ეუხეშა, რომელიც უმაღლეს ლიგაში პირველ მატჩს ატარებდა. ამ მომენტს შედეგზე გავლენა არ მოუხდენია — მსაჯი კრიჭაშვილი უკვე წამზომს დაჰყურებდა...

## პრესკონფერენცია

*გიორგი ჩიხრაძე:* ვიცოდით, რომ ძნელი თამაში გველოდა. ამიტომაც გორში ერთი დღით ადრე ჩამოვედით და აქვე ვივარჯიშეთ. „დილა" ნორმალური გუნდია, შინ განსაკუთრებით კარგად თამაშობს. მეორე ტაიმში უკეთესად გამოვიყურებოდით, უფრო გაგვეხსნა ხელ-ფეხი.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* პირობების მხრივ ჩვენ და „ამერი" სხვადასხვა წონით კატეგორიაში ვართ. ფაქტობრივად, მოუმზადებელი გუნდი მყავს, მაგრამ მთავარ ამოცანას ალბათ შევასრულებთ — უმაღლეს ლიგაში დავრჩებით. მეტი კი ჩვენს ძალებს აღემატება.

გორი. 10 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 300 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:1 ამერი

0:1 დავითაშვილი (34)

**დილა:** თ. ილურიძე, ქარქუზაშვილი, რევაზიშვილი, გ. ნადირაძე, ი. კობახიძე, შატაკიშვილი, ი. თომაშვილი (ტლაშაძე 56), მ. თაყაძე, პეტრიაშვილი (ალ. ლაბაძე 83), სულთანიშვილი, წუწუნავა (მძინარიშვილი 87)
*სათადარიგონი:* ციცაგი; კირვალიძე, მასურაშვილი, ხვიჩია
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, კედელაშვილი, გ. კვახაძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, დობროვოლსკი, ა. კაიდარაშვილი, სილაგავა (დარსანია 39; გ. ჩხეტიანი 70), კოშკაძე (ნიკოლაიშვილი 81), ს. დავითაშვილი, სევასტოპულო
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია; გარუჩავა, ნ. ნადირაძე, ტატანაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** რევაზიშვილი (21), შატაკიშვილი (62), დავითაშვილი (68), თომაშვილი (75), კობახიძე (86), რევაზიშვილი (90)

**გაძევება:** რევაზიშვილი (90)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ნ. რუსიშვილი, ჯ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** ს. კვარაცხელია



საქართველოს XVII ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 5 ტური

# ქორიძემ მართვეები წაიღო

თბილისი. 11 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი. 500 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 0:5 ბორჯომი

0:1, 0:2, 0:3, 0:4 ქორიძე (14, 23, 50, 59), 0:5 გეწაძე (72)

**თბილისი:** შეყრილაძე, მიმინოშვილი, ხაჭიპერაძე, ბერიძე, გ. ფოფხაძე, ბოჭორიძე, ილ. მოდებაძე, კვასხვაძე (კაკაბაძე 46), ლიპარტია (ვ. კვარაცხელია 46), ბარამიძე, რევაზ ბარაბაძე
*სათადარიგონი:* ალავიძე; გ. ქორიძე, დარსაძე, გოგა ფიფია, ლოლაძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**ბორჯომი:** მამალაძე, მემარნიშვილი, ლ. ქელიძე, ა. ბურნაძე, ბაქრაძე, გვირჯიშვილი, გაბისკირია (მიქიაშვილი 78), მესხი, გეწაძე, შ. ჯიქია (აფციაური 70), გ. ქორიძე (რ. ჯიქია 78)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ნასყიდაშვილი, მაჭავარიანი
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**გაფრთხილება:** მესხი (53)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი)

**ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე

ილია ნანობაშვილი

**წინა სეზონში** გორის „დილას" საცოდაობით ვიწვოდით და ძალიან არ გვინდა, მისი ადგილი „თბილისმა" დაიკავოს, მაგრამ... ეს „მაგრამ" რამდენიმეა: რაც უნდა ვუნდერკინდები გყავდეს, 17-18 წლის ბავშვებით დაღვინებულ ფეხბურთელებთან მაინც გაგიჭირდება. და რომელი ვუნდერკინდები „თბილისს" ჰყავს, ესეც ვიკითხოთ...

ასეთი ჭაბუკებისგან შედეგს წლები, წლებს კი მოთმინება სჭირდება და ვერ გეტყვით, როდემდე მეყოფა მოთმინებაო — ნაღვლიანად ამბობდა ნამატჩევს „თბილისის" თავკაცი გიორგი დევდარიანი, რომელიც უდავოდ ნიჭიერი მწვრთნელია, მაგრამ დღეს ქარის წისქვილთან მეომარს გვაგონებს.

„ბორჯომმა" საამსეზონოდ „თბილისის" 5 ფეხბურთელი დაიმატა, შემადგენლობით ბარე ორს დაუყენებს თვალს და, წესით, შეთამაშება რჩება მთავარ პრობლემად, თუმცა უნდა გენახათ, როგორ აგორებდნენ ბურთს სოსო ფრუიძის ბიჭები, როგორ ეხსნებოდნენ ერთმანეთს და როგორ „ჭიმავდნენ" გრძელ პასებს.

აბა, პოკერის ავტორი როგორ არ ვახსენოთ. კვიპროსიდან დაბრუნებულმა ფორვარდმა გიორგი ქორიძემ ყველა ბურთი მეკარის ბაქნიდან, თანაც ყველა ცარიელ კარში გაიტანა: 1. პაატა გვირჯიშვილის ფლანგური ჩაწოდება და ქორიძემ ერთი შეხებით ხარიხიდან ასხლეტით შეაგდო; 2. ბორჯომელებმა დაახლოებით 30-35 პასი გააკეთეს, უცებ იური გაბისკირიამ გვირჯიშვილს ჰკიდა თვალი, ჩაწოდება და ქორიძეს ბურთზე ფეხის დახვედრებაღა დასჭირდა; 3. თბილისელთა მცველმა ხაჭიპერაძემ ცუდად მიაწოდა ბურთი თავის მეკარე შეყრილაძეს, ქორიძემ ჩაჭრა და ისევ ცარიელ კარში დაარტყა; 4. გიორგი მემარნიშვილის ჩაწოდებული, ქორიძე ერთი მოძრაობით ატყუებს შეყრილაძეს და 4:0 — ეს ყველაფერი 59-ე წუთამდე მოხდა და თამაშიც აქ დამთავრდა.

დარჩენილ დროში „ბორჯომმა" ნება-ნება ითამაშა, მოკლე-მოკლე პასებს მიჰყვა და მეტის გატანაზე თავი არ მოუკლავს, მაგრამ ექსთბილისელმა რევაზ გეწაძემ ერთიც შეაგდო — ნახევარი მინდორი გაიარა და პირველად თუ მოიგერია შეყრილაძემ, მეორე ცდაზე გეწაძემ აუღელვებლად დაამატა.

### პრესკონფერენცია

*გიორგი დევდარიანი:* „ბორჯომი" უკეთესი გუნდია, ერთი თავით გვაჯობა. ხუთი გოლიდან ოთხი დაცვის ცენტრისა და მეკარის ბრალია, მაგრამ წაგებას ერთ ან ორ კონკრეტულ ფეხბურთელს ვერ დავაბრალებ. ასეთი ახალგაზრდული გუნდისთვის შედეგზე ფიქრი ნაადრევია. ფიფია წავიდა, სამი ფეხბურთელი 19-წლამდელთა ნაკრებშია და შემადგენლობა ამანაც დაგვისუსტა. მატჩის გადადება კი შევეძლო, მაგრამ მერე სამ დღეში ორი თამაში უნდა ჩაგვეტარებინა და არანაკლებ პრობლემებს ვაწყდებოდით.

*სოსო ფრუიძე:* გიორგი დევდარიანის მესმის. ძნელია, როცა გამოუცდელი გუნდი გყავს. არადა, „თბილისის" თამაშები ვნახე და მომეწონა. სიმართლე გითხრათ, ძნელ მატჩს ველოდი. ჩემმა გუნდმა ყველა დავალება კარგად შეასრულა — ანგარიშს რომ თავი დავანებოთ, ხარისხითაც კმაყოფილი დავრჩი.



გიორგი მეგრელაძის (№10) ჯადო-გოლი

თბილისი. 10 სექტემბერი. 16 საათი. ეროვნული. 700 (ტევადობა 70 900)

## დინამო 1:0 ცხინვალი

1:0 მეგრელაძე (69)

**დინამო:** სტურუა, ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, აკობია, ლ. ნოზაძე, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი (ნავალოვსკი 46), გ. ქელიძე (ბობოხიძე 67), მეგრელაძე, ს. იაშვილი (გიგაური 72)
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი, მელქაძე
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**ცხინვალი:** სოლოლაშვილი, დ. მაისურაძე, ქობესაშვილი, ლომიძე, ეჯოშვილი, ჩიტაია, მოსიაშვილი, გამცემლიძე (გაბლაია 57), ბაკარანძე, დათვაძე, ჩილვინაძე
*სათადარიგონი:* გიზო შენგელია; გ. მაისურაძე, თაყაძე, ფერსაევი, ნ. ნოზაძე, ბოლოთაშვილი
**მწვრთნელი:** ივანე თაყაძე

**გაფრთხილება:** აკობია (50)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი)

**ინსპექტორი:** ო. გუნთაძე



გიორგი ქორიძემ (№9) თბილისელები ოთხჯერ დაბომბა

# მეგრელაძის ქრესტომათია

დავით თავართქილაძე

**კახა ალადაშვილმა** მარჯვნიდან ჩააწოდა „ცხინვალის" კარის გასწვრივ, ბურთისკენ გია მეგრელაძე დაიძრა მეურვითურთ, ისე ჩანდა, მეგრელაძე ბურთს ვერანაირად ვერ გადაგზავნიდა კარში, მაგრამ კარიდან პროფილში მყოფი მეგრელაძე 90 გრადუსით შებრუნდა კარისკენ ზურგით და მაღალ ბურთს ღონივრად ამოჰკრა ფეხი — „ცხინვალის" გოლკიპერი რამაზ სოლოლაშვილი უძლური აღმოჩნდა, ასეთ ბურთს „შუმახერა" კი არა, ალბათ, ტონი შუმახერიც ვერ აიღებდა — მეგრელაძემ ყველაფერი მეათედ წამებში გააკეთა.

გოლამდე „დინამო" მეტწილად სანდრო იაშვილის თავურებით ემუქრებოდა „ცხინვალს". ერთხელ იაშვილმა ფეხითაც სცადა გატანა, მაგრამ სოლოლაშვილმა კარგად დაუფარა დინამოელს. გოლის შემდეგ კი მიხეილ ბობოხიძე და მეგრელაძე აღმოჩნდნენ ჩინებულ პოზიციაზე, მაგრამ აქედან სახეირო ვერაფერი გამოადნეს. შემდეგ მეგრელაძეს კიდევ ერთი შანსი მიეცა, მაგრამ სოლოლაშვილმა იმარჯვა.

საერთო ჯამში დიდი ვერაფერი მატჩი გამოდგა. „ცხინვალი" რიგიანად უძალიანდებოდა „დინამოს", მაგრამ ისიცაა, რომ „დინამომაც" ვერ ითამაშა შთამბეჭდავად. არ გამართლდა მათი პროგნოზი, ვინც „დინამოს" იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა.

მედგრად მოთამაშე „ცხინვალს" გათანაბრების შანსიც ჰქონდა — დავით დათვაძის პასით დავით ჩილვინაძეს მარჯვენა, არცთუ მახვილი კუთხიდან შეეძლო გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. მატჩის მიწურულს „ცხინვალი" მეტოქეზე უფრო დიდხანს ფლობდა ბურთს, თუმც სახიფათო მომენტი „დინამოს" კართან ველარ შექმნა.

სამ ქულას კბილი, ალბათ, არ გაესინჯება, მაგრამ ამ მატჩში უმნიშვნელოვანესი მეგრელაძის გოლი უნდა იყოს — ფორვარდის ასეთ ქრესტომათიას საქართველოს ჩემპიონატში ძალიან იშვიათად თუ წააწყდებით.

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 5 ტური

# რატომ გგონიათ, რომ გაგვიმართლა?

ბათუმი. 10 სექტემბერი. 16 საათი. დინამო. 300 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 0:1 ლოკომოტივი

0:1 რ. ონიანი (55)

**ბათუმი:** ი. ბალაძე, ი. მახარაძე (ბესიკ თედორაძე 56), სიდამონიძე, ქქონია, გუშარაშვილი, გ. ჯელაძე, გ. მანჯავა, ქაცარავა (ზირაქიშვილი 61), მ. ბურნაძე (ცანავა 65), დარჩიძე, კაკალაძე
*სათადარიგონი:* თოთლაძე, გოგიშვილი, გბლოგრე, ფირცხალაიშვილი
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**ლოკომოტივი:** გ. ჭანტურია, მახვილაძე, გ. ონიანი, საჯაია, სეთურიძე, ინომოვი, რ. ონიანი, დ. ფოფხაძე (რამონი 46), სირაძე, ქებაძე, კახელიშვილი (ა. ნოზაძე 73)
*სათადარიგონი:* ლომიძე, თავბერიძე, ჩივაძე
**მწვრთნელი:** ნოდარ აკობია

**გაფრთხილება:** ბურნაძე (50), კახელიშვილი (62), ინომოვი (89), გუშარაშვილი (90)

**განძევება:** დარჩიძე (89)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ინსპექტორი:** გ. სორდია

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**ბოლო** მატჩების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბათუმელებს საკუთარ მოედანზე მოგება არ უნდა გასჭირვებოდათ, თუმცა არც წაუგებელი „ლოკომოტივი" გახლდათ უარგუმენტო და აკი ბათუმელმა გულშემატკივრებმა, რომლებიც წვიმამ გვარიანად გალუმპა, სტადიონი გულნატკენებმა დატოვეს.

მატჩი ბათუმელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-5 წუთზე მურთაზ ბურნაძის შორეულმა და მოულოდნელმა დარტყმამ სტუმრები გვარიანად ააფორიაქა — ბურთი ხარიხას გაეხახუნა. წუთში კი ვიტალი დარჩიძის კარგი პასით იმავ ბურნაძემ საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ იხეირა.

„ბათუმი" ყველა შეტევის განხორციელებას მარცხენა ფლანგიდან ცდილობდა, სადაც საიმედოდ თამაშობდა თბილისელი ედიკ საჯაია. ზღვისპირელებს კი არა და არ გადაჰქონდათ თამაში მარჯვენა ფლანგზე, სადაც ეულად დარჩენილი გიზო ჯელაძის დატვირთვა შეეძლოთ.

სტუმართაგან ყველაზე მეტად დავით სირაძე და გიორგი სეთურიძე აქტიურობდნენ.

მართალია, ბურთი სწრაფად მოძრაობდა, მაგრამ ორივე გუნდის შეტევები საჯარიმოს მისადგომებთან მთავრდებოდა.

ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა კიდევ ერთხელ აანერვიულეს მეტოქე — ივანე მახარაძემ ბურთი ყველასთვის მოულოდნელად ჯელაძეს გადააწოდა, მანაც ცრუ მოძრაობით ჩამოიტოვა როინ ონიანი და დარჩიძეს ზუსტი პასი მიაწოდა — ვიტალის ხელს არავინ უშლიდა და დაარტყა კიდეც, მაგრამ როგორ მოახერხა ბურთის მოგერიება გრიგოლ ჭანტურიამ, გამოცანად რჩება.

მეორე ნახევარი ათი წუთის დაწყებული იყო, მასპინძლებმა მეტად დასანანი გოლი რომ გაუშვეს — სეთურიძის შორიდან დარტყმული ირაკლი ბალაძემ კი მოიგერია, თუმცა დამატებაზე როინ ონიანმა ივარგა — 0:1.

ამირან გოგიტიძემ მალევე შეცვლას მიმართა და მოედანზე ზაზა ზირაქიშვილი შეუშვა, მაგრამ იგი ფეხნატკენი გახლდათ და დიდი ვერაფერი სარგებელი მოუტანა გუნდს — მხოლოდ მატჩის ბოლო წამებზე მოახერხა თავური, მაგრამ მცველმა იყოჩაღა და თავითვე გამოიტანა ბურთი კარიდან...

### პრესკონფერენცია

*ნოდარ აკობია:* რატომ გგონიათ, რომ გაგვიმართლა? მეტოქეს თამაშით ვაჯობეთ და მოვიგეთ კიდეც. ვთვლი, რომ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ჩვენი მოგება იმანაც განაპირობა, რომ უფრო სწრაფად ვმოძრაობდით.

*ამირან გოგიტიძე:* სამწუხაროდ, მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ვერ ვიტყვი, რომ სტუმრებმა გვაჯობეს. ხომ ნახეთ, რა დასანანი გოლი გავუშვით... აისახება თუ არა ეს წაგება მომდევნო მატჩებზე? რა თქმა უნდა, აისახება. კაკალაძეც აღარაა ის კაკალაძე, ზირაქიშვილს კი ფეხის ტრავმა აწუხებდა, რას ვიზამთ...

# გოგიტიძე წავიდა

## ბათუმი გაბელიაზე ფიქრობს



ამირან გოგიტიძე

„**ლოკომოტივთან**" მარცხის შემდეგ „ბათუმი" უმთავარმწვრთნელოდ დარჩა — ამირან გოგიტიძემ პოსტი საკუთარი ნებით დატოვა. „ამ წაგების მერე მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. კლუბის სპონსორი წარმატებას ითხოვს, გუნდს კი სათანადო შედეგი არ ჰქონდა და გადავდექი" — გვითხრა გუშინ გოგიტიძემ.

მაშ, ვინ უთავკაცებს „ბათუმს"? გუშინვე ამ კითხვით მივმართეთ კლუბის წარმომადგენლებს, მაგრამ მათგან ზუსტი პასუხი ვერ მივიღეთ.

დღეს კლუბში ამ საკითხთან დაკავშირებით კრება გაიმართება და შესაძლოა, გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელიც დასახელდეს.

დიდი შანსია, „ბათუმი" ოთარ გაბელიას ჩააბარონ. კლუბის წარმომადგენლებმა გვითხრეს კიდეც, რომ „ბათუმის" მთავარმწვთნელობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი სწორედ გაბელიაა.

**დავით თავართქილაძე**

# ჯანი კარნევალი ათვალიერებს

## დავით დიღმელაშვილს შვეიცარია ეჩარხება

„**ვიტ ჯორჯიაში**" სამჯერ დაბრუნებული და ისევ იტალიაში წასული მწვრთნელი ჯანი კარნევალი გუშინ ისანში „თბილისი" — „ბორჯომის" მატჩს ესწრებოდა. ბუნებრივია, მისი ვიზიტით დავინტერესდით და სინიორ ჯანისაც არ დაუმალავს, რომ საქართველოში 20 დღე დარჩება, ახალგაზრდა ფეხბურთელებს შეათვალიერებს და ვინ იცის, ზოგიერთს უცხოერი კლუბის ვარიანტიც გაუჩარხოს.

კარნევალიმ ისიც თქვა, თუ რომელიმე ქართული კლუბიდან შემოთავაზება მექნება, ავწონ-დავწონიო. შესაძლოა, კარნევალის „ბათუმმაც" უხმოს, მაგრამ იტალიელმა ამის შესახებ ვერაფერი გვითხრა, ამირან გოგიტიძე რომ მწვრთნელობიდან გადადგა, ახლახან გაიგეო.

„ვიტ ჯორჯიას" ყოფილმა მწვრთნელმა ერთიც გაგვიმხილა: „შესაძლოა, დეკემბერში ვიტელი ნახევარმცველი დავით დიღმელაშვილი შვეიცარიულ კლუბში გადავიდეს. ლაპარაკია ორ გუნდზე: ერთი უმაღლესლიგელია, მეორე კი ჩელენჯლიგელი. აქედან ერთ-ერთის მფლობელები იტალიელები არიან და მათ კარგად ვიცნობ. მეტს ვეღარ დავაკონკრეტებ".

**ილია ნანოგაშვილი**

ფოთი. 10 სექტემბერი. 16 საათი. ფაზისი. 1 500 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:0 ტორპედო

1:0 ქუთათელაძე (4)

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ქუტიძე, ფარულავა, თურქია (კილასონია 38), ყურაშვილი, ჯ. შალამბერიძე (ვართაგავა 64), კრასოვსკი, ცეკვაშვილი (გოჩალეიშვილი 61), მარგალიტაძე, ზ. ჯანაშია, ზ. ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* ლატარია, სამსეიშვილი, ლოლუა, გოგენია
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ლალაძე, რატი ბარაბაძე, დ. ხურცილავა (მდივნიშვილი 53) მაღლაკელიძე, ქურციკიძე (კ. შალამბერიძე 77), ტეხოვი, ბურჯანაძე (ებრალიძე 24), ფოფხაძე, ძოძუაშვილი, დოლონაძე
*სათადარიგონი:* გ. ბარაბაძე; გ. შენგელია, ჯაში, კვერნაძე
**მწვრთნელი:** რევაზ ბურკაძე

**გაფრთხილება:** ტეხოვი (15), ძოძუაშვილი (52), ვართაგავა (81), კრასოვსკი (88)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე, დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი); გ. ასკაროვლი (ქარელი)

**ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე

# უკმაყოფილია

## დოლონაძე, გოლი, ერთი გოლი!

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**ნამატჩევს** კოლხთა თავკაცი სოსო ფილია ერთი შეხედვით კმაყოფილი ჩანდა. მისმა გუნდმა ხომ ზედიზედ მესამე საშინაო მატჩი მოიგო. თუმცა მოგებას გააჩნია და აკი თქვა კიდეც პრესკონფერენციაზე, ეს თამაში არ იყო მოსაგებიო. ალბათ ასეც იყო და შეგირდთა ცუდმა თამაშმა ფილიას ამის თქმის საფუძველი მართლაც მისცა.

რა გასაკვირია და, უკმაყოფილებას ვერ მალავდა რევაზ ბურკაძე. „ეს რა უბედურება გვჭირს, ყველა თამაშში ოთხ-ხუთ ნაღდ მომენტს ვქმნით, გოლი კი ვერა და ვერ გაგვაქვს. მოგებას ვინ ჩივის. ისე წავაგოთ, ერთი გოლი მაინც გავიტანოთ" — ჩიოდა იმერელთა დამრიგებელი.

არადა, სტუმრებს მასპინძლებთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი საგოლე შანსი ებოძათ, მაგრამ რად გინდა — კოლხებმა ერთი გაიტანეს და სამი ქულაც ჩაიჯიბეს. როგორც შემდგომში გაირკვა, ზვიად ქუთათელაძის მიერ დასაწყისშივე გატანილი გოლი ერთადერთი და მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

თამაშის დასაწყისი საინტერესო გაგრძელებას მოასწავებდა თითქოს, რადგან მხნედ დაწყებულ ბურთაობას გოლიც უმალ მოჰყვა და იმერელთა სწრაფი პასუხიც. ჯერ კიდევ გოლის ეიფორიაში მყოფ კოლხ მცველებს არმაზ დოლონაძე გაეპარათ და ამას პირდაპირ ზურაბ ბათიაშვილისთვის რომ არ დაემიზნებინა ბურთი, სტატუს-ქვო აღდგებოდა.

საერთოდ, პირველი ტაიმი ამ ორი თავდამსხმელის ერთგვარ დუელად იქცა. დოლონაძეს კიდევ ებოძა ჩინებული შანსი, მაგრამ მეკარესთან პირისპირ შერჩენილს დარტყმა იმდენად უხიერო გამოუვიდა, მეტი რომ არ იქნება. ქუთათელაძეს კი მეოცე წუთზე მართებდა დუბლის გაკეთება, თუმცა ტატო ცეკვაშვილის ჩაწოდებულზე თავური კარს ააცილა.

ორივე მწვრთნელმა თითო შეცვლა პირველივე ტაიმში გამოიყენა. ბურკაძემ არეული დაცვა გამოცდილი კახა ებრალიძით დაალაგა, ხოლო ფილიამ შუა ხაზის გამაგრება სცადა. აღმოჩნდა, რომ სტუმრები ამის შემდეგ გაცილებით უკეთ ათამაშდნენ და მეორე ტაიმში დაჯაბნეს კიდეც მეტოქე.

შესვენების შემდეგ „კოლხეთი" მოდუნებული ჩანდა და კარგა ხანს, ერთი ხეირიანი მომენტიც კი არ შეუქმნია იმერელთა კართან. „ტორპედო" კი პირიქით — გასაოცარებლად დაიგეშა და ბევრსაც ეცადა სამისოდ. თუმცა მოთამაშეთა გამოუცდელობას და უიღბლობას ვერაფერი მოუხერხდა.

რამდენიმე ისე რა მომენტს სტუმართა შესრულებით აღარ აღვწერთ, გეტყვით მხოლოდ, რომ 58-ე წუთზე ანგარიში, წესით, უნდა გათანაბრებულიყო — შეცვლაზე შესულმა ლევან მდივნიშვილმა ერთი პასით კოლხთა დაცვა გაჭრა და მერაბ ძოძუაშვილი ბათიაშვილს სრულიად მარტო შეაჩერა. მერაბს წინსვლისთვის არაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ მოულოდნელად იჩქარა, საჯარიმოს მისადგომებთან თითქმის მოლო თუ არა ბურთი, დაარტყა კიდეც და ნაჩქარევმა დარტყმულმა კარის ჩარჩოში მოხვედრა არ ინება.

ბოლოსკენ ქუთათელაძეს კიდევ ერთხელ შეეძლო მატჩის ინტრიგის მოშთობა, მაგრამ კიდევ ერთი თავური უზუსტო გამოუვიდა. თუმცა ამით არც არაფერი დაშავებიათ კოლხებს. ბურკაძემ შეცვლით სცადა თამაშის შემობრუნება და შეტევაში კობა შალამბერიძეს უხმო, რაც ალბათ დაგვიანებულიც კი იყო, რადგან დრო თითქმის აღარ რჩებოდა — მასპინძლებმა ბოლო შტურმს გაუძლეს და ნაჯაფარი სამი ქულით ფრიად გაიხარეს კიდეც.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| ბორჯომი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 12 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 11 |
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 3:3 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბათუმი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:2 | 7 |
| ცხინვალი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:4 | 6 |
| დილა | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| კახეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| სოხუმი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:4 | 1 |
| ტორპედო | 5 | 0 | 1 | 4 | 0:5 | 1 |
| თბილისი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:11 | 0 |

# ვერდერმა ისევ დაუკრა




AFP კაიზერსლაუტერნიდან

ლაუტერნი — ვერდერი 1:5. ბრემენელები, ფრინგსი და კლოზე მორიგ გოლს ულოცავენ ერთმანეთს

## გერმანია

### ბუნდესლიგა. IV ტური

**დორტმუნდი 2:1 კიოლნი**

1:0, 2:0 რიკენი (25, 73), 2:1 შერცი (90)
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, ვიორნსი, ეგენი, დედე, მეცელდერი, კელი, კრუსკა, კლინგე რიკენი (ბრზენსკა 90), ბაკლი (ვან დერ განი 40; ოდონკორი 50), სმოლარეკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
**კიოლნი:** ვესელსი, ალფაი, რანი (ლურლინგი 52), ლელი (მადსენი 76), სინკიევიჩი, შლიკე, სინკალა (შერცი 66), შტრაიტი, მოხტარი, ფულნერი, პოდოლსკი
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: ვიორნსი, რანი, პოდოლსკი, ლურლინგი, ალფაი
მსაჯი: ბრიხი
78 400 მაყურებელი

**ჰერტა 3:0 ვოლფსბურგი**

1:0 ფრიდრიხი (70), 2:0 პანტელიჩი (75), 3:0 ჟილბერტო (90)
**ჰერტა:** ფიდლერი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ფრიდრიხი, ფატპი, კოვაჩი, კაირო (ნოიენდორფი 71), ჟილბერტო, მარსელინიო, პანტელიჩი (ვიხნიარეკი 88), ოკორონკო (რაფაელი 66)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
**ვოლფსბურგი:** იენჩი, ჰოფლანდი, ალექსი (ჰანკე 72), კიროგა, ტიამი (ფიშერი 14), სარპეი (ნეზირი 78), კარჰანი, ცქიტიშვილი, დალესანდრო, ნენსეგეში, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: პანტელიჩი, მარსელინიო, კაირო, ჰანკე, სარპეი
მსაჯი: გაგელმანი
40 754 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:1 შალკე**

1:0 ბერბატოვი (73), 1:1 ლარსენი (85)
**ლევერკუზენი:** ბუტი, ატირსონი, ჟუანი, კ. ფრიცი, ბ. შნაიდერი, როლფსი, კასტრო, ბარნეტა (ლაზოვიჩი 65), ვორონინი, ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
**შალკე:** როსტი, ბორდონი, კრსტაიჩი, ჰამიტ ალტინტოპი, კობიაშვილი, პოულსენი, ერნსტი (ვარელა 78), ლინკოლნი, ასამოა (ბაირამოვიჩი 46), სანდი (ლარსენი 67), კურანი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ჟუანი, ბუტი, კასტრო, კრსტაიჩი, კობიაშვილი, ასამოა, პოულსენი
მსაჯი: შტრაკი
22 500 მაყურებელი

**გლადბახი 2:1 დუისბურგი**

1:0 ნოივილი (5), 1:1 მიორლე (9), 2:1 ზე ანტონიო (65)
**გლადბახი:** კამპა, ბოგელუნდი, ზე ანტონიო, დაემსი, ჰელვეგი, უდე კამპუისი, ელ ფაკირი (ფუკალი 70), იანსენი, ლისტეში (ბროიხი 58), კაე, ნოივილი (კლუგე 89)
მწვრთნელი: ჰორსტ კიოპელი
**დუისბურგი:** გ. კობი, მიორლე, ბაელუმი, ვოლტერსი (ტიკუზუ 81), ა. მეიერი, ბუგერა, გრლიჩი (რიტპიჩი 74), ვილი, ვან ჰუდტი, კურტი (აჰანფუფი 69), ლავრიჩი
მწვრთნელი: ნორბერტ მაიერი
გაფრთხილება: უდე კამპიუსი, ჰელვეგი, ფუკალი, მიორლე, ვილი
მსაჯი: მეიერი
51 000 მაყურებელი

**ლუატერნი 1:5 ვერდერი**

0:1 მიკუ (31), 0:2 კლოზე (44), 0:3 ფრინგსი (45), 0:4 კლოზე (78), 1:4 ჰალილ ალტინტოპი (84), 1:5 ვრანიეში (89)
**ლაუტერნი:** მახო, პლეჩი, ბლანკი, ლემბი, მეტომო, სფორცა, ენგელჰარდტი, სკელა, ზაიცი (ტ. როიტერი 46), ჰალილ ალტინტოპი, იანკერი (გიოკტანი 66)
მწვრთნელი: მიხაელ ენკე
**ვერდერი:** რაინკე, ნალდო, პასანენი, ოვომოიელა, შულცი, ბაუმანი, ფრინგსი (დ. იენსენი 68), ბოროვსკი, მიკუ (ვრანიეში 76), კლოზე, კლასნიჩი (ვალდესი 71)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ენგელჰარდტი, პასანენი, კლოზე, ოვომოიელა
მსაჯი: კირხერი
32 851 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:2 ბაიერნი**

1:0 პინოლა (20), 1:1 გერერო (21), 1:2 ბალაკი (60)
**ნიურნბერგი:** შეფერი, ვოლფი (პაულუსი 53), ლენსე, ნიკლი, პინოლა, კანტალუპი, ბანოვიჩი, პოლაკი (ვაგეფელდი 58), საენკო (სლოვაკი 67), კესლინგი, დაუნი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
**ბაიერნი:** კანი, ლუსიო, სანიოლი, ისმაელი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ქარიმი (ზე რობერტო 46), შვაინშტაიგერი (იერემისი 87), ბალაკი, გერერო, პიზარო (სანტა კრუზი 60)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ვოლფი, საენკო, პინოლა, კანტალუპი, ჰარგრივსი, ზე რობერტო
მსაჯი: ვაინერი
46 939 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:1 არმინია**

1:0 ტომასონი (57), 1:1 პინტო (79)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ფ. მეირა, ჰინკელი (შტრანცლი 58), დუდპიერი, გერბერი, მაისნერი, სოლდო, ტიფერტი, გრონკიაერი, გომესი (ლიუბოია 46), ტომასონი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
**არმინია:** ჰაინი, კორჟინეტი, ვესტერმანი, ბორგესი, შულერი, პორჩელო (კუჩერა 83), ფინკი, ზუმა (დალოვიჩი 72), კრუპნიკოვიჩი (პინტო 64), ვატა, ბოაკი
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
გაფრთხილება: გერბერი, ჰინკელი, ვატა, პორჩელო, დალოვიჩი
34 000 მაყურებელი

**მაინცი 1:3 ჰამბურგი**

0:1 ვიკი (43), 0:2 მაჰდავიკია (56), 1:2 რუმანი (69), 1:3 ვან დერ ვაარტი (71)
**მაინცი:** ვახე, აბელი, ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი (გეისლერი 72), გერბერი, ბაბაცი, და სილვა, ადო (რუმანი 61), ტურკი (რომელო 61), ზიდანი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
**ჰამბურგი:** ვეხტერი, დეგელი, ბულარუზი, ვან ბუიტენი, ატუბა, ვიკი (კლინგბეილი 74), მაჰდავიკია, იაროლიმი (ტროხოვსკი 89), ვან დერ ვაარტი, ლაუტი (ციგლერი 74), ბარბარესი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ნოვესკი, ბულარუზი
მსაჯი: სიპელი
20 300 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:0 აინტრახტი**

1:0 შტაინერი (32), 2:0 იანოკვი (63)
**ჰანოვერი:** ენკე, ჩერუნდოლო, ჟურავი, მერტესაკერი, ტარნატი, ლალა, დაბროვსკი, იაკნოვი (ვინისიუსი 85), შტაინერი (ალფარი 88), ჰაშემიანი, ბრდარიჩი (ჰანე 78)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
**აინტრახტი:** ნიკოლოვი, რემერი (კრისი 62), ოხსი, ვასოსკი, სპიხერი, ჰუგელი, ჯონსი (ვაისენბერგერი 70), ა. მეიერი, დუ რიჩა (ლება 63), კოლერი, ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ჟურავი, ლალა, ოხსი
მსაჯი: მერკი
35 166 მაყურებელი

**ბრემენის „ვერდერი“** დამაჯერებლად თამაშს აგრძელებს. „მუსიკოსებმა“ ამჯერადაც ჩინებულ სტილში იბურთავეს და „ლაუტერნი“ გაანადგურეს. ანგარიში იოჰან მიკუმ გახსნა ივან კლასნიჩის კარგი თამაშის შემდეგ. ყველაფერი კი ფაქტობრივად პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე გადაწყდა, როდესაც სტუმრებმა კიდევ ორჯერ იხეირეს.

მიროსლავ კლოზემ მორიგი დუბლი გააკეთა, ივან კლასნიჩს კი ამჯერად გოლი არ გაუტანია, მაგრამ მეტოქის კარში შეგდებულ ორ ბურთში ლომის წილი დაიდო და სერთოდაც აქტიური გახლდათ. მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ იხეირეს. და ისიც ბოლო წუთებზე, თუმცა თავი კვლავ ჰალილ ალტინტოპმა გამოიჩინა და ბომბარდიროა დავაც სათავეში ჩაუდგა.

პირველი ადგილი შეინარჩუნა „ბაიერნმა“. ფელიქს მაგათმა „ნიურნბერგთან“ შედარებით ექსპერიმენტალური შემადგენლობა ათამაშა. მიუნხენელებს ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ და აგებდნენ კიდეც, მაგრამ ახალგაზრდა პერუელმა პაულო გერერომ იქვე გაათანაბრა, ბოლო გუნდის კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა მე-60 წუთზე გამარჯვებისა შეაგდო.

ისევ იმარჯვა „ჰამბურგმაც“. თომას დოლის გუნდმა ბუნდესლიგის ერთ-ერთ აშკარა აუტსაიდერ „მაინცს“ ზედმეტი პრობლემების გარეშე სძლია. კვლავ მშვენივრად ითამაშეს ჰამბურგელთა ლიდერებმა — მეჰდი მაჰდავიკიამ, კიამე რაფაელ ვან დერ ვაარტმა, დავიდ იაროლიმმა და სერგი ბარბარესმა.

ჯოვანი ტრაპატონის „შტუტგარტი“ პირველ გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო. მასპინძლები იონ დალ ტომასონის გოლით 81-ე წუთამდე იგებდნენ, მაგრამ ერთ ეპიზოდში მეტოქის იერიში მაინც ვერ გაუმკლავდნენ და რობერტო პინტომ გააყაიმა. ბოლო წამებზე კი „არმინიას“ სულაც 3 ქულის წაღება შეეძლო, მაგრამ ფატმირ ვატამ თავისი შანსი ვერ გამოიყენა.

ძალიან ლაღი და სანახაობრივი მატჩი შედგა ლევერკუზენში. სადაც „ფარმაცევტებმა“ „შალკეს“ უმასპინძლეს. ამ შეხვედრაში უამრავი სახიფათო მომენტი იყო, მაგრამ მხოლოდ ორი გოლი გავიდა. მასპინძელთა მხრიდან გოლის ავტორმა დიმიტარ, ბერბატოვმა პენალტი გააცუდა, რომელიც ლევან კობიაშვილთან შეხებისა და საჯარიმოში ვარდნის შედეგად მოინადირა. სტუმართაგან კი თერთმეტმეტრიანი ლინკოლნმა ვერ გამოიყენა. გამარჯვებასთან უფრო ახლოს მაინც მასპინძლები იყვნენ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ლარსენმა შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე წონასწორობა აღადგინა.

„გლადბახმა“ საკმაოდ კარგად ითამაშა და „დუისბურგთან“ მატჩში სამი ქულაც აიღო. ვეტერანმა ოლივერ ნოივილმა ჯერ ანგარიში გახსნა, მერე კი ზე ანტონიოს გადამწყვეტი გოლი გაატანინა.

„ჰანოვერმა“ თავისი პირველი სამი ქულა მიითვალა. მასპინძლები „აინტრახტს“ ფაქტობრივად მთელი მატჩის მანძილზე სჯობდნენ და დამსახურებულადაც მოიგეს.

**კოკი კანდელაკი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 13:3 | 10 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 4 | 6 |
| 2 ვერდერი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 9 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 6 |
| 3 ჰამბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 |
| 4 შალკე | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 5 ჰერტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 |
| 6 ჰანოვერი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 7 კიოლნი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 8 ლაუტერნი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:12 | -2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:8 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 9 დორტმუნდი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 10 ვოლფსბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | -2 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 11 გლადბახი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | -2 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 12 ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | -1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 |
| 13 არმინია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 1 |
| 14 შტუტგარტი | 4 | 0 | 3 | 1 | 5:6 | -1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 15 აინტრახტი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 16 დუისბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 0 |
| 17 ნიურნბერგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 18 მაინცი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | -7 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (ბაიერნი) | 6 |
| ალტინტოპი (ლაუტერნი) | 7 |
| კლოზე (ვერდერი) | 5 |
| კლასნიჩი (ვერდერი) | 4 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 4 |

### V ტური

17-18 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ვერდერი | დორტმუნდი |
| არმინია | ლაუტერნი |
| მაინცი | შტუტგარტი |
| ბაიერნი | ჰანოვერი |
| ვოლფსბურგი | ნიურნბერგი |
| შალკე | ჰერტა |
| დუისბურგი | ლევერკუზენი |
| კიოლნი | გლადბახი |
| ჰამბურგი | აინტრახტი |

## მეორე ბუნდესლიგა

### IV ტური

**ალემანია 4:0 ზაარბრიუკენი**

1:0 როსლერი (12), 2:0 შტელი (46), 3:0 შლაუდრაფი (52), 4:0 ნოლი (89)

**ბურგჰაუზენი 1:1 უნტერჰახინგი**

0:1 ბუკი (41), 1:1 ჰერციგი (66)

**მიუნხენი 1:2 დინამო დრ**

0:1, 0:2 ვორბეკი (17, 29), 1:2 მ. ლემანი (81პ)

**ბრაუნშვაიგი 3:0 ფიურტი**

1:0 ფუხსი (13), 2:0 ურუ (66), 3:0 ფუხსი (85)

**ოფენბახი 2:1 ფრაიბურგი**

1:0 დომი (76), 2:0 ტირკერი (82), 2:1 ჰერმელი (87)
**ფრაიბურგი:** ვალკე, მოჰამედი, ოლაიენგბესი, ბალტესი, იბერტსბერგერი, რატერი, აოგო (კუჯუ 58), ტანკო, კულიბალი, ანტარი (ჰერმელი 73), იაშვილი

**პადერბორნი 1:0 ალენი**

1:0 ფენგლერი (90ს.კ.)

**ზიგენი 2:4 კოტბუსი**

1:0 ბარლეტა (21), 1:1, 1:2, 1:3 მაკკენა (35, 53, 66), 1:4 რადუ (69), 2:4 სპიზაკი (71პ)

**აუე 0:0 კარლსრუე**

**ბოხუმი — ჰანზა**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაუნშვაიგი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| ალემანია | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| დინამო | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| პადერბორნი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ოფენბახი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:7 | 9 |
| მიუნხენი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| კოტბუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ზიგენი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:6 | 6 |
| ფრაიბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ბოხუმი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:4 | 5 |
| ბურგჰაუზენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| აუე | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| კარლსრუე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 4 |
| ფიურტი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| უნტერჰახინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ალენი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| ჰანზა | 3 | 0 | 0 | 3 | 4:9 | 0 |
| ზაარბრიუკენი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:16 | 0 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### VI ტური

ბაიერნი (მ) — კიკერსი 1:0; კარლსრუე (მ) — მიუნხენი (მ) 3:0; შტუტგარტი (მ) — დარმშტადტი 2:2

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### VIII ტური

ვერდერი (მ) — ობერჰაუზენი 2:2

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. II ტური

**დეპორტივო 1:0 ატლეტიკო**

1:0 კაპდევილა (90)
**დეპორტივო:** მოლინა, ანდრადე, რომერო, მანუელ პაბლო, კაპდევილა, სერხიო, რუბენი (ივან კარილი 78), დუშერი, მუნიტისი, ვალერონი (სკალონი 85), ტრისტანი (ტაბორდა 67)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, პაბლო, ვალერა, პერეა (გარსია კალვო 89), ზაინოსი, ა. ლოპესი, ლუჩინი, გალეტი (პეტროვი 99), გაბი, მ. როდრიგესი (კოლსა 68), ფ. ტორესი
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
გაფრთხილებები: დუშერი, კაპდევილა, ტორესი, ზაინოსი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
22 000 მაყურებელი

**ბეტისი 1:0 ოსასუნა**

1:0 ოლივეირა (64პ)
**ბეტისი:** დობლასი, ხუანიტო, ო. ლოპესი, რივასი, ლ. ფერნანდესი (ვარელა 27), ასუნსაო, რივერა, ხოაკინი (ფერნანდო 71), ედუ, ხისკო (მელი 85), ოლივეირა
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
**ოსასუნა:** ელია, კრუჩაგა, ხავიერ ფლანიო, მიგელ ფლანიო, კორალესი, დ. ლოპესი (მოა 77), პუნიალი, რაულ გარსია, დელპორტე, რომეო (ვალდო 74), მილოშევიჩი (ვებო 74)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: მ. ფლანიო, ელია, პუნიალი, კორალესი, რომერო, რივერა, ხუანიტო
მსაჯი: მანუელ ანხელ პერეს ლიმა
40 000 მაყურებელი

**რეალი 2:3 სელტა**

0:1 კონტრერასი (8), 1:1 რონალდო (37პ), 2:1 ბაპტისტა (44), 2:2 ნუნიესი (45), 2:3 კანობიო (78)
**რეალი:** კასილიასი, ელგერა, სალგადო, პავონი (სერხიო რამოსი 46), რობერტო კარლოსი, გრავესენი (რაული 68), ბექემი (პ. გარსია 80), გუტი, ბაპტისტა, რონალდო, რობინიო
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
**სელტა:** პინტო, კონტრერასი, სერხიო, ანხელი, პლასენტე, ირინეი, ობუინა, მუნიესი (ასპასი 84), კანობიო (სილვა 86), გ. ლოპესი, ბაიანო (ხ. გერერო 90)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: პავონი, სალგადო, გრავესენი, ირინეი
მსაჯი: რაფაელ რამირეს დომინგესი
80 000 მაყურებელი

**ხეტაფე 1:1 ბილბაო**

1:0 გუიზა (26), 1:1 კასასი (40)
**ხეტაფე:** ლუისი, კონტრა (პაუნოვიჩი 64), ბელენგერი, ანიბალი, პერნია, დ. რივასი, სელესტინი, კოტელო, რიკი (პაჩონი 90), გავილანი (კრაიოვეანუ 78), გუიზა
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
**ბილბაო:** არანსუდია, გურპეგი, პრიეტო, ესპოზიტო, კასასი (ლა კრუსი 62), იბონი, ორბაისი, ირაოლა, იესტე, ეჩებერია (ხ. გონსალესი 85), ლორენტე (გერერო 69)
მწვრთნელი: ხოსე ლუის მენდილიბარი
გაფრთხილება: სელესტინი, მატელანი, ლორენტე
გაძევება: დ. რივასი (90)
მსაჯი: ფერნანდო ბორბალანი
14 500 მაყურებელი

**რასინგი 0:1 კადისი**

0:1 სესმა (84)
**რასინგი:** აუატე, რეგრაგუი, ნერუ, მორატონი, პინილიოსი, კასკერო, ვიტოლო, მარკესი (რაული 46), ხონათანი (ანტონიტო 59), დალმა, აგანსო (მელო 59)
მწვრთნელი: ნანდო იოსუ
**კადისი:** არმანდო, ვარელა, პასი, რ. ლოპესი, დე კინტანა, სუარესი (ბესარესი 69), ფლერკინი, ენრიკე (ესტოიანოფი 60), პავონი, სესმა, ოლი (პერესი 80)
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
გაფრთხილება: ფლერკინი, რეგრაგუი
მსაჯი: ხავიერ ტურიენსო ალვარესი
12 800 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:1 სევილია**

0:1 ადრიანო (41), 1:1 ფიგუეროა (74)
**ვილიარეალი:** ვიერა, კრომკამპი, ალვარესი, გონსალო, არუაბარენა (სორინი 46), კაზორლა, ხოსიკო (ფიგუეროა 68), ტაკინარდი, რიკელმე (ჰექტორ ფონტი 28), ხოსე მარი, ფორლანი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
**სევილია:** პალოპი, აიტორ ოსიო, პრიეტო, ალვესი, დავიდი, მარტი, რენატო, მარესკა (ნავასი 54), ადრიანო (ა. ლოპესი 48), კეპა (სავიოლა 66), კანუტი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: არუაბარენა, ფიგუეროა, გონსალო, ოსიო
გაძევება: ტაკინარდი (84)
მსაჯი: მეხია დავილა
18 000 მაყურებელი

**სოსიედადი 2:1 ალავესი**

1:0, 2:0 ბარკერო (10პ, 34), 2:1 დე ლუკასი (90)
**სოსიედადი:** რიესგო, ლაბაკა, ხაურეგი, ლოპეს რეკარტე, ბარკერო, მიკელ ალონსო (ნოვო 63), არანბურუ, გაბრი, ხაბი პრიეტო (გაბილონდო 86), გარიტანო, კოვაჩევიჩი (ნიჰათი 72)
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
**ალავესი:** ბონანო, ედუ ალონსო, ხუანიტო, სარიეგი, პოლი, დე ლუკასი, ასტუდილიო, ხანდრო (არტურო 75), ნენე (ანტოუოტი 63), რუბენ ნავარო (ტელესი 51), ბოდიპო
მწვრთნელი: რაფაელ მონფორტი
მსაჯი: პინო ზამორანო
20 370 მაყურებელი

**ბარსელონა 2:0 მალიორკა**

1:0, 2:0 ეტოო (27, 31)
**ბარსელონა:** ვალდესი, ბელეტი, ოლეგერი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი (ესკერო 82), მარკესი (ვან ბომელი 67), ხავი, დეკო (ინიესტა 77), ჟიული, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
**მალიორკა:** მოია, კორტესი (მასიელი 46), პოტენცა, ბალესტეროსი, ფ. ნავარო, პერეირა (ბორხა 52), ფარინოსი, არანგო, კამპანო, ოკუბო, იორდი
მწვრთნელი: ჰექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: პუიოლი, პერეირა, ოკუბო, მარკესი, ბალესტეროსი, ბალესტეროსი, ფარინოსი, ფარინოსი
გაძევება: ბალესტეროსი (70), ფარინოსი (79)
მსაჯი: ბერნარდინო გონსალეს ვასკესი
71 948 მაყურებელი

**მალაგა 1:2 ესპანიოლი**

0:1 ზაბალეტა (43), 0:2 ლუის გარსია (61), 1:2 ხერარდო (88პ)
**მალაგა:** არნაუ, ს. ნავასი, ალექსისი (ედგარი 64), ფ. სანსი, ვალკარსე (კუნაგო 83), ხერარდო, ხ. როდრიგესი, ნაჩო, დუდა, სალვა (ანდერსონი 64), მორალესი
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
**ესპანიოლი:** კამენი, ხარკე, ლოპო, ზაბალეტა, დ. გარსია, ხუანფრანი (კორომინასი 68), ფრედსონი (რიერა 88), კოსტა, დომი, ტამუდო, ლუის გარსია (მოისესი 85)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ხერარდო, ლოპო, ვალკარსე, დ. გარსია, ხარკე
მსაჯი: ვისენტე ლისონდო კორტესი
22 000 მაყურებელი

**სარაგოსა 2:2 ვალენსია**

0:1 ანგულო (1), 1:1 ევერტონი (7), 2:1 კანი (28), 2:2 ვილა (80)
**სარაგოსა:** სეზარი (ვალბუენა 30), ალვარო, პონციო, გ. მილიტო, ტოლედო, მოვილია, ზაპატერი, ევერტონი (კანი 12), ოსკარი (ს. გარსია 86), სავიო, დ. მილიტო
**პორტუ 3:0 რიუ ავე**

1:0 კვარეშმა (87), 2:0 ალანი (89), 3:0 ალმეიდა (90)

**სპორტინგი 2:1 ბენფიკა**

1:0 ლურეირო (38), 1:1 სიმაო (64), 2:1 ლიდსონი (74)

გაძევება: როკა (51, ბენფიკა)

**ჟილ ვისენტე 0:1 ნასიონალი**

0:1 ალონსო (62)

გაძევება: პედრო (68, ჟილ ვისენტე)

**ამადორა 2:1 ნავალი**

1:0 მანი (5), 2:0 მაჩადო (79), 2:1 გერა (83)

**ლეირია 0:0 მარიტიმუ**

**აკადემიკა 0:1 სეტუბალი**

0:1 ფაბიო (56)

**ბოავიშტა 4:1 პაკოშ ფერეირა**

1:0 ფრეი (25), 2:0 მანელი (56), 2:1 დოლორესი (73), 3:1 ვალენტე (76), 4:1 კაფუ (90)

**პენაფიელი — ბელენენსეში**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ბრაგა | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| სპორტინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| ნასიონალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| რიუ ავე | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ბოავიშტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ამადორა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სეტუბალი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ბელენენსეში | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ნავალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ფერეირა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| აკადემიკა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| მარიტიმუ | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ბენფიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ლეირია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| პენაფიელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| გიმარაეში | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### II დივიზიონი. III ტური

ბარეირენსე — ავეში 2:1; გონდომარი — პორტიმონენსე 1:0; ლეიშოეში — შავეში 2:0; ეშტორილი — მორეირენსე 2:1; მარკუ — ვარზიმი 2:2; კოვილია — ოლიალენსე 2:0; მაია — ბეირა მარი 0:1; ფეირენსე — ოვაირენსე 2:3; ვიზელა — სანტა კლარა 0:0

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. VI ტური

ბელხატოვი — გროცლინი 2:2; კორონა — პლოცკი 2:3; არკა — ზაგლებე 0:1; გურნიკი — პოლონია 2:1; ლეჩნა — კრაკოვია 1:1; ლეგია — ოდრა 2:1; ვისლა — პოგონი 2:1; ამიკა — ლეხი 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 5 | 3 | 2 | 0 | 11:5 | 11 |
| ლეხი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:10 | 11 |
| გურნიკი | 6 | 2 | 4 | 0 | 7:3 | 10 |
| პლოცკი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:10 | 10 |
| ლეგია | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 9 |
| ამიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 11:8 | 8 |
| პოგონი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:10 | 8 |
| გროცლინი | 6 | 1 | 4 | 1 | 9:9 | 7 |
| ზაგლებე | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | 6 |
| კრაკოვია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| ბელხატოვი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:9 | 6 |
| ოდრა | 6 | 1 | 3 | 2 | 4:8 | 6 |
| არკა | 6 | 0 | 5 | 1 | 4:5 | 5 |
| პოლონია | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| ლეჩნა | 6 | 0 | 5 | 1 | 4:6 | 5 |
| კორონა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. V ტური

რიზე — ბეშიქთაში 1:0; დიარბაქირი — ქაისერი 0:2; ერზიესი — მალათია 1:1; ფენერბაჩე — ანკარა 2:1; ტრაბზონი — გაზიანთეფი 2:0; დენიზლი — ანკარაგიუჯიუ 0:0; გალათასარაი — სივასფორი 2:0; გენჩლერი — კონია 1:1; სამსუნი — მანისა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:5 | 13 |
| ფენერბაჩე | 5 | 3 | 2 | 0 | 11:6 | 11 |
| ტრაბზონი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ქაისერი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| ერჯიესი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| ბეშიქთაში | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| გაზიანთეფი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| სივასფორი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:4 | 8 |
| ანკარა | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| კონია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| მანისა | 5 | 1 | 2 | 2 | 9:6 | 5 |
| დიარბაქირი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| რიზე | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| სამსუნი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:12 | 4 |
| გენჩლერი | 5 | 0 | 3 | 2 | 1:5 | 3 |
| მალათია | 5 | 0 | 3 | 2 | 5:13 | 3 |
| ანკარაგიუჯიუ | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |
| დენიზლი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:7 | 2 |

## ბელგია

### იუპილერლიგა. V ტური

**გენტი 2:0 გენკი**

1:0 ტომპსონი (2), 2:0 ვრანკენი (40)

გაძევება: კორნელისი (60, გენკი)

**ანდერლეხტი 3:1 მუსკრონი**

1:0 იესტეროვიჩი (35), 1:1 სანტოსი (37), 2:1 იესტეროვიჩი (49), 3:1 მპენზა (89)

**შარლერუა 1:1 რუზელარე**

0:1 ვლეშაუვერი (35), 1:1 სტრეხელი (44)

**ბრიუგე 2:1 სენტ ტრუიდენი**

1:0 ბალაბანი (25), 1:1 სინაესი (29), 2:1 ბალაბანი (62)

**ლუვიე 0:0 სერკლი**

გაძევება: სანჩესი (53, ლუვიე)

**ვესტერლო 3:0 ბრიუსელი**

1:0 კოელიო (8), 2:0 დელენი (40), 3:0 კოელიო (83)

გაძევება: პულე (60, ვესტერლო), კარგბო (86, ბრიუსელი)

**ვარეგემი 2:1 ბეერსხოტი**

0:1 კამარა (58), 1:1 დოლანდერი (88), 2:1 ი. სალუ (90)

გაძევება: ლოლო, ბგიემანი, სილვა (75, 89, 89, ბეერსხოტი)

**სტანდარდი 1:3 ბევერენი**

0:1 სანოგო (22), 1:1 ტჩიტე (43), 1:2 სანოგო (51), 1:3 ნი (70)

**ლოკერენი — ლიერსი**

*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 5 | 4 | 1 | 0 | 17:5 | 13 |
| სტანდარდი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:4 | 12 |
| ბრიუგე | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| ვესტერლო | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 10 |
| ვარეგემი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| შარლერუა | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| რუზელარე | 5 | 2 | 1 | 2 | 6:3 | 7 |
| გენტი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| ლოკერენი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | 7 |
| სენტ ტრუიდენი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | 6 |
| ბრიუსელი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| გენკი | 5 | 0 | 4 | 1 | 5:7 | 4 |
| ლიერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ბევერენი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:5 | 3 |
| ბეერსხოტი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| მუსკრონი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:8 | 3 |
| ლუვიე | 5 | 0 | 3 | 2 | 3:10 | 3 |
| სერკლი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | 1 |

### II დივიზიონი. III ტური

ეუპენი — ვიგორი 1:0; დესელი — დაინცე 2:4; ანტვერპენი — ოსტენდე 3:1; ლომელი — მეუსდენი 2:2; მეხელენი — მონსი 1:2; ვაასლანდი — სენტ ჟილი 3:1; ტუბიცე — რონსი 2:0; კორტრაიკი — გეელი 2:1; ოუდ ჰევერლი — ვირტონი 0:1

## საბერძნეთი

### ნაციონალლიგა. II ტური

პაოკ — ხალკიდონა 2:2; ოლიმპიაკოსი — პანიონიოსი 5:0; კალამარია — ლევადიაკოსი 1:1; ოფი — ქსანთი 1:1; აეკ — ირაკლისი 2:0; იონიკოსი — პანათინაიკოსი 1:1; ეგალეო — აკრატიტოსი 1:0; ლარისა — კალითეა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| აეკ | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| კალამარია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ქსანთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ეგალეო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| აკრატიტოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლევადიაკოსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ხალკიდონა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| იონიკოსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კალითეა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლარისა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პაოკ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ოფი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| პანიონიოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ირაკლისი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XX ტური

ვიკინგი — რუსენბორგი 3:2; ლილესტრიომი — ბრანი ; სტარტი — ჰამ კამი 2:1; ლინი — ოდ გრენლანდი 1:2; ბოდიო გლიმტი — ტრომსიო 2:0; ფრედრიკსტადი — ვოლერენგა ; ალესუნდი — მოლდე ; ვოლერენგა — მოლდე 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 20 | 12 | 5 | 3 | 37:22 | 41 |
| ვოლერენგა | 19 | 12 | 4 | 3 | 34:19 | 40 |
| ვიკინგი | 20 | 11 | 4 | 5 | 32:25 | 37 |
| ლინი | 20 | 9 | 7 | 4 | 28:18 | 34 |
| ლილესტრიომი | 19 | 10 | 3 | 6 | 30:25 | 33 |
| ბრანი | 19 | 8 | 5 | 6 | 36:22 | 29 |
| ოდ გრენლანდი | 20 | 8 | 3 | 9 | 21:35 | 27 |
| ფრედრიკსტადი | 19 | 6 | 5 | 8 | 27:30 | 23 |
| ჰამ კამი | 20 | 6 | 4 | 10 | 23:29 | 22 |
| რუსენბორგი | 20 | 6 | 3 | 11 | 33:36 | 21 |
| ბოდიო გლიმტი | 20 | 5 | 4 | 11 | 24:32 | 19 |
| ტრომსიო | 20 | 3 | 9 | 8 | 20:27 | 18 |
| მოლდე | 19 | 5 | 3 | 11 | 24:38 | 18 |
| ალესუნდი | 19 | 3 | 7 | 9 | 17:28 | 16 |

## დანია

### სუპერლიგა. VIII ტური

ბრონდბიუ — სონდერილანდი 3:0; ოლბორგი — ნორდსიელანდი 1:1; ესბიერგი — ორჰუსი 0:1; სილკებორგი — ჰორსენსი 0:1; მიდტიულანდი — ვიბორგი 1:1; ოდენსე — კოპენჰაგენი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 8 | 7 | 1 | 0 | 13:3 | 22 |
| ბრონდბიუ | 8 | 6 | 1 | 1 | 16:7 | 19 |
| ვიბორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:10 | 14 |
| ოდენსე | 8 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 12 |
| მიდტიულანდი | 8 | 3 | 3 | 2 | 15:15 | 12 |
| ნორდსიელანდი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | 9 |
| ორჰუსი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:15 | 8 |
| სილკებორგი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:14 | 8 |
| ოლბორგი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:9 | 7 |
| ჰორსენსი | 8 | 1 | 4 | 3 | 2:7 | 7 |
| სონდერილანდი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:18 | 7 |
| ესბიერგი | 8 | 1 | 2 | 5 | 9:12 | 5 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XXII ტური

ალიანსი — მიუპა 1:3; ინტერი — კუოპიო 3:2; ჰაკა — ჰიკ 2:0; იარო — ტპ 47 0:2; როვანიემი — ტამპერე 0:1; ლაჰტი — ტურკუ 1:0; მარიეჰამნი — კტპ 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 21 | 14 | 5 | 2 | 40:14 | 47 |
| ჰიკ | 21 | 11 | 7 | 3 | 36:22 | 40 |
| ჰაკა | 22 | 9 | 11 | 2 | 36:16 | 38 |
| ინტერი | 19 | 10 | 6 | 3 | 29:11 | 36 |
| ტამპერე | 19 | 10 | 6 | 3 | 28:16 | 36 |
| ლაჰტი | 23 | 10 | 4 | 9 | 35:34 | 34 |
| ალიანსი | 22 | 6 | 10 | 6 | 27:35 | 28 |
| კტპ | 22 | 7 | 6 | 9 | 31:38 | 27 |
| ტურკუ | 22 | 7 | 4 | 11 | 24:32 | 25 |
| მარიეჰამნი | 21 | 6 | 5 | 10 | 23:29 | 23 |
| კუოპიო | 22 | 6 | 4 | 12 | 25:40 | 22 |
| იარო | 22 | 5 | 6 | 11 | 17:26 | 21 |
| როვანიემი | 22 | 3 | 7 | 12 | 18:42 | 16 |
| ტპ 47 | 22 | 4 | 3 | 15 | 18:32 | 15 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. VIII ტური

გრასჰოპერი — ბაზელი 2:2; იურდონი — ციურიხი 0:2; იანგ ბოისი — თუნი 0:0; ქსამაქსი — სენტ გალენი 0:1; შაფჰაუზენი — აარაუ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 8 | 5 | 2 | 1 | 20:12 | 17 |
| ციურიხი | 8 | 5 | 1 | 2 | 21:12 | 16 |
| გრასჰოპერი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:12 | 14 |
| იანგ ბოისი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 14 |
| თუნი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:10 | 14 |
| სენტ გალენი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:13 | 11 |
| შაფჰაუზენი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:12 | 9 |
| აარაუ | 8 | 2 | 2 | 4 | 7:15 | 8 |
| ქსამაქსი | 8 | 1 | 1 | 6 | 8:15 | 4 |
| ივერდონი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:16 | 4 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XXI ტური

ჰეკენი — ჰალმსტადი 0:1; ჰელსინგბორგი — ასირისკა 2:0; კალმარი — ლანდსკრონა 2:2; ელფსბორგი — გეფლე, სუნდსვალი — გიოტებორგი, იორგრიტე — ჰამარბი, იურგორდენი — მალმიო დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 20 | 12 | 4 | 4 | 41:22 | 40 |
| გიოტებორგი | 20 | 11 | 6 | 3 | 26:11 | 39 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 11 | 3 | 7 | 30:30 | 36 |
| მალმიო | 20 | 10 | 5 | 5 | 29:20 | 35 |
| ჰამარბი | 20 | 9 | 6 | 5 | 34:22 | 33 |
| კალმარი | 21 | 7 | 9 | 5 | 21:19 | 30 |
| ელფსბორგი | 20 | 7 | 6 | 7 | 26:29 | 27 |
| ჰეკენი | 21 | 8 | 2 | 11 | 25:25 | 26 |
| ჰალმსტადი | 21 | 7 | 4 | 10 | 29:29 | 25 |
| იორგრიტე | 20 | 7 | 4 | 9 | 26:30 | 25 |
| გეფლე | 20 | 7 | 4 | 9 | 20:25 | 25 |
| ლანდსკრონა | 21 | 6 | 6 | 9 | 22:34 | 24 |
| სუნდსვალი | 20 | 4 | 5 | 11 | 24:41 | 17 |
| ასირისკა | 21 | 4 | 2 | 15 | 15:31 | 14 |

# სელტამ რეალი საიმედოდ ჩაკეტა

ფერნანდო ვასკესის „სელტამ“ შაბათს გალაქტიკურ მადრიდის „რეალს“ საკუთარ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფრიად უსიამოვნო სიურპრიზი მოუწყო. პრიმერადივიზიონში ახლახან დაბრუნებულმა ვიგოელებმა სამეფო გუნდს შინაურ არენაზე 2:3 მოუგეს. მწვრთნელისთვის გალაქტიკოსებზე გამარჯვება, ცხადია, სამ ქულაზე მეტს ნიშნავს. „ბალაიდოსის“ გუნდის დამრიგებელს „რეალთან“ მატჩის შემდეგ მადრიდული „ასის“ ჟურნალისტი გაესაუბრა.

— მადრიდელთა დამარცხების მერე რას გვეტყოდით?

— დიდი მატჩი მოვიგეთ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმის ბოლოს „რეალმა“ დაწინაურება შეძლო, „სელტამ“ — არ უარვყოფ, ბედის წყალობითაც — „ბერნაბეუდან“ სამი ქულის წამოღება მოახერხა. საერთოდ კი მადრიდში გამარჯვება მარტო ქულების ალებას არ ნიშნავს. ეს ჩემი გუნდის სიძლიერის დადასტურებაა.

— თუმც ბევრი თვლის, რომ კანონიოს დამაგვირგვინებელი გოლი უფრო მსაჯის „დამსახურებაა“ — ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია...

— ყოველ შემთხვევაში, მატჩი ჩვენ მოვიგეთ და ამას ვერავინ წაგვართმევს. „სელტას“ ყველა ფეხბურთელმა მოედანზე თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა, ამიტომაც „რეალის“ მოიერიშეებმა თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე ვეღარ გამოავლინეს. აი, მატჩს ტელევიზორში რომ ვნახავ, წესების დარღვევებზე მერე ვილაპარაკოთ.

— შემადგენლობაში ცვლილებები თამაშის დასასრულს განახორციელეთ...

— როგორც გამოჩნდა, ამაში არ შევმცდარვარ. ძირითად გუნდს ახალი ძალა მაშინ მივაშველე, როდესაც ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო.

— და როგორ მოახერხა „სელტამ“ „გალაქტიკოსთა“ დამარცხება?

— უპირველეს ყოვლისა, საამაშო სივრცის ჩაკეტვით. რობინიომ, რაულმა და რონალდომ საკარო პასები ვერ მიიღეს და მადრიდელთა სახიფათო უკანახაზელებისა, მიჩელ სალგადოსა და რობერტო კარლოსის იზოლირებაც კარგად შევძელით. თითქოს პირველ ტაიმში „რეალის“ უპირატესობა ნათელი იყო, მაგრამ ჩვენმა დაცვამ უშეცდომოდ იმუშავა. დაცვის კარგი ორგანიზებით „სელტამ“ ვანდერლეი ლუშემბურგოს სუპერგუნდს საკუთარ მოედანზე აჯობა.

— ფარ-ხმლის დაყრას ალბათ არც სამომავლოდ აპირებთ. გულშემატკივარი თქვენგან ახლა უფრო მეტ გამარჯვებას მოითხოვს...

— თავისთავად ცხადია. როცა ესპანურ პრიმერადივიზიონში ბურთაობ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. მომავალ ტურში „რასინგს“ ვმასპინძლობთ და იმედია, ანჩასები ტრიბუნებს უკმაყოფილონი არ დატოვებენ.

— თქვენი შეგირდები „რეალთან“ მოგებას როგორ შეხვდნენ?

— რასაკვირველია, ბიჭები ძალიან გახარებულები არიან, თუმცა ეიფორიაში არავინ ჩავარდნილა. წინ თითქმის მთელი ჩემპიონატია დარჩენილი. მთავარია, დანარჩენი შეხვედრებიც „ბერნაბეუს“ ჯახის მსგავსად ჩავატაროთ.

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 1 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 12 | უოტფორდი-ნორვიჩი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 22:45 | 13 | ვულვერჰემპტონი-მილუოლი | 1.40 | 3.90 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.56 |
| 22:45 | 14 | კარდიფი-ლესტერი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 22:45 | 15 | უენსდი-ლიდსი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 22:45 | 16 | ქპრ-ლუტონი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 22:45 | 17 | პლიმუთი-კრიუ | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 22:45 | 18 | პრესტონი-ბარნსლი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 22:45 | 19 | იფსვიჩი-საუთჰემპტონი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 22:45 | 20 | ბრაიტონი-შეფილდი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 22:45 | 21 | ჰალი-სტოუკი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 23:00 | 22 | რედინგი-კრისტალ პალასი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 23 | დერბი-ქოვენტრი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 105 | ბოხუმი-ჰანზა | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 575 | ტერნანა-პესკარა | 1.75 | 2.80 | 5.00 | 1.07 | 1.29 | 1.79 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 220 | ლავალი-ბასტია | 3.10 | 2.80 | 2.35 | 1.47 | 1.33 | 1.27 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 258 | დენ ბოსხი-ჰაარლემი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 269 | პენაფიელი-ბელენენსეში | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 576 | ოლიმპია-კალითეა | 1.65 | 3.30 | 4.60 | 1.10 | 1.21 | 1.92 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:40 | 329 | ლიბერეცი-სლოვაცკო | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 376 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 21:00 | 377 | ალესუნდი-მოლდე | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 385 | ფოლო-სანდეფიორდი | 3.70 | 4.00 | 1.70 | 1.92 | 1.16 | 1.19 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 395 | ელფსბორგი-გეფლე | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 21:00 | 396 | იურგორდენი-მალმიო | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 21:00 | 397 | სუნდსვალი-გიოტებორგი | 3.20 | 3.10 | 2.05 | 1.57 | 1.24 | 1.23 |
| 21:00 | 398 | იორგრიტე-ჰამარბი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **12 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 405 | იოსტერსი-ატვიდაბერგი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 406 | აიკ-იორებრო | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:05 | 407 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **11 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 461 | ინდეპენდიენტე-რასინგი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 22:30 | 462 | კოლონი-ნიუელზი | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 22:30 | 463 | ოლიმპო-ხიმნასია ლპ | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| 22:30 | 464 | ხიმნასია ჟ-ბანფილდი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 23:10 | 465 | ბოკა ხუნიორსი-არგენტინოს ხუნიორსი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 23:45 | 466 | არსენალი-რივერ პლეიტი | 3.00 | 3.20 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 507 | მილანი-ფენერბაჩე | 1.25 | 4.90 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.38 |
| 22:45 | 508 | ბეტისი-ლივერპული | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 22:45 | 509 | ლიონი-რეალი | 2.60 | 3.10 | 2.55 | 1.41 | 1.28 | 1.39 |
| 22:45 | 510 | რეინჯერსი-პორტუ | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:45 | 511 | ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 1.45 | 3.50 | 7.50 | 1.02 | 1.21 | 2.38 |
| 22:45 | 512 | პსვ-შალკე | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 22:45 | 513 | პეტრჟალკა-ინტერი | 7.00 | 3.60 | 1.45 | 2.37 | 1.20 | 1.03 |
| 22:45 | 514 | ჩელსი-ანდერლეხტი | 1.20 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.88 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 515 | სპარტა-აიაქსი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 22:45 | 516 | ვერდერი-ბარსელონა | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 22:45 | 517 | რაპიდი-ბაიერნი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 22:45 | 518 | არსენალი-თუნი | 1.15 | 6.20 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.19 |
| 22:45 | 519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 22:45 | 520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 4.70 | 3.30 | 1.75 | 1.93 | 1.27 | 1.14 |
| 22:45 | 521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 22:45 | 522 | ბენფიკა-ლილი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაგვეთვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.85 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2.

(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# აფრიკული ფიასკო
## ოცნებაში დარჩენილი ოქრო-ვერცხლი



[illegible] ფოტო

ლაშა გუჯეჯიანი

**2005 წლის** უმთავრესი ტურნირი ქართველი ძიუდოისტებისთვის წარმოუდგენლად წარუმატებელი გამოდგა. ქაიროს მსოფლიოს ჩემპიონატიდან ოქრო-ვერცხლს ველოდით და ხელთ ერთი ბრინჯაო შეგვრჩა. პირველი ორი დღის ნაჭიდავები ჯერ კიდევ წინა კვირაში მიმოვიხილეთ. გუჯეჯიანის ბრინჯაოც მაშინ იყო, ახლა კი შაბათ-კვირის იმ ოთხ წონაზე ვთქვათ, რომელშიც ვერც ერთმა ქართველმა ძიუდოისტმა ვერ მიაღწია მედლამდე.

ყველაზე მეტად უმსუბუქეს წონაში, 60 კილოგრამში მოჭიდავე ნესტორ ხერგიანისა გვეიმედებოდა. ცუდი პირველად მაშინ ვიფიქრეთ, როცა ჯგუფში ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერთან ერთად მოხვდა. იგი ნესტორისვის უხერხული მეტოქეა, რაც ამ ზაფხულს საკლუბო ჩემპიონატზეც გამოჩნდა და გუშინ ქაიროშიც.

ამჯერად პაიშერმა იუკოთი იმარჯვა და ნახევარფინალში ჭიდაობა გაინაღდა, ხერგიანი კი რეპეშაჟში გადაერთო. მანამდე ნესტორმა უზბეკ სანიარ ზოკიროვს, უნგრელ ლასლო ბურიაკსა და ყირგიზ ნამირ ტურსუნბაევს სძლია. ბრინჯაოსკენ მიმავალ გზაზე პირველი მეტოქე სამხრეთკორეელი ნამ სუკ ჩო იყო. ჩვენდა სამწუხაროდ, მასთან ჭიდაობა ნესტორისთვის ეგვიპტურ ტატამზე ბოლო გამოდგა და საბოლოოდ მეცხრე ადგილი დაიკავა.

მედალთან ყველაზე ახლოს დავით მარგოშვილი (66 კგ) და გიორგი ყიზილაშვილი (აბსოლუტური) მივიდნენ. ორივემ ნახევარფინალს უწია და დარჩენილი ორ-ორი შეხვედრიდან თითოშიც რომ ემარჯვათ, მინიმუმ ბრინჯაო გარანტირებული ჰქონდათ. ოთხივე შეხვედრა ქართველთა მარცხით დასრულდა, აქედან სამჯერ იპონით.

დავით ქევხიშვილმა (73 კგ) მართლაც შთამბეჭდავად დაიწყო. პირველსავე მეტოქეს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ფრანგს, დანიელ ფერნანდესს, წამები აკმარა და რახან ჯგუფში მისი დარი მეტოქე აღარ ჰყავდა, ჩვენებურის ნახევარფინალში გასვლა ლამის გარდაუვალ მოვლენადაც მივიჩნიეთ, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში მავან გერმანელ ნიკო მიულერთან წმინდად წააგო. მერე კი ეს გერმანელიც დასცეს და რეპეშაჟის შანსიც დაიკარგა.

ლაშა გუჯეჯიანის (+100 კგ) ბრინჯაოთი თავმომწონე საქართველოს ნაკრები დღეს გუნდურ ჩემპიონატში შეეცდება ხასიათის გამოკეთებას, მისი დასრულებისთანავე კი თბილისში დაბრუნდება.

### მსოფლიოს ჩემპიონატი
**ქაირო. 8-12 სექტემბერი**

**კაცები**

**60 კგ**
1 კრეიგ ფელონი (ბრიტანეთი)
2 ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია)
3 ნიჰათ შიხალიზადა (აზერბაიჯანი)
3 ნამ სუკ ჩო (სამხ. კორეა)
9 ნესტორ ხერგიანი (საქართველო)

**66 კგ**
1 ჟოაო დერლი ჯუნიორი (ბრაზილია)
2 მასატო უჩიშობა (იაპონია)
3 მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი)
3 არაშ მირესმაილი (ირანი)
5 დავით მარგოშვილი (საქართველო)

**73 კგ**
1 აკოშ ბრაუნი (უნგრეთი)
2 ფრანჩესკო ბრიერი (იტალია)
3 გენადი ბილოდიდი (უკრაინა)
3 კიოში უემაცუ (ესპანეთი)
20 დავით ქევხიშვილი (საქართველო)

**81 კგ**
1 ჯილომ ელმონი (ჰოლანდია)
2 აბდერაჰმან ბენამადი (ალჟირი)
3 რომან გონტიუკი (უკრაინა)
3 ტაკაში ონო (იაპონია)
13 გრიგოლ შინჯიკაშვილი (საქართველო)

**90 კგ**
1 ჰიროში იზუმი (იაპონია)
2 ილიას ილიადისი (საბერძნეთი)
3 მარკ ჰუიზინგა (ჰოლანდია)
3 ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსი)
9 ზურაბ ზვიადაური (საქართველო)

**100 კგ**
1 კეიჯი სუძუკი (იაპონია)
2 ვიტალი ბუბონი (უკრაინა)
3 ლუჩანო კორეა (ბრაზილია)
3 დიმიტრი კაბანოვი (რუსეთი)
13 გიორგი გუგავა (საქართველო)

**+100 კგ**
1 ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი)
2 იასუიუკი მუნეტა (იაპონია)
3 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)
3 პიერ რობენი (საფრანგეთი)

**აბსოლუტური**
1 დენი ვან დერ გესტი (ჰოლანდია)
2 ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)
3 იოჰეი ტაკაი (იაპონია)
3 იური რიბაკი (ბელარუსი)
5 გიორგი ყიზილაშვილი (საქართველო)

**ქალები**

**48 კგ**
1 ჟანეტ ბერმუა (კუბა)
2 ფრედერიკ ჟოსინეტი (საფრანგეთი)
3 სორიანა ჰადადი (ალჟირი)
3 ალინა დუმიტრუ (რუმინეთი)

**52 კგ**
1 იანგ ლი (ჩინეთი)
2 იუკი იოკოსავა (იაპონია)
3 ტელმა მონტეირო (პორტუგალია)
3 კუმ აე ანი (ჩრდ. კორეა)

**57 კგ**
1 სუნ ჰი კიუ (ჩრდ. კორეა)
2 ივონ ბოენიში (გერმანია)
3 საბრინა ფილზოსერი (ავსტრია)
3 ხაშბათ ერდენ-ოდი (მონღოლეთი)

**63 კგ**
1 ლუსი დეკოსი (საფრანგეთი)
2 აიუმი ტანიმოტო (იაპონია)
3 ურსკა ზოლნირი (სლოვენია)
3 დრიულის გონზალესი (კუბა)

**70 კგ**
1 ედიტ ბოში (ჰოლანდია)
2 ჯევრის ემანი (საფრანგეთი)
3 კატერინა ჟაკე (ბელგია)
3 ანეტ ბოემი (გერმანია)

**78 კგ**
1 იურისელ ლაბორდე (კუბ)
2 საე ნაკაზავა (იაპონია)
3 სელინ ლებრუნი (საფრანგეთი)
3 კლაუდია ზვიერსი (ჰოლანდია)

**+78 კგ**
1 ვენ ტონგი (ჩინეთი)
2 კარინა ბრიანტი (ბრიტანეთი)
3 მაკი ცუკადა (იაპონია)
3 ანა სოფი მონდიერი (საფრანგეთი)

**აბსოლუტური**
1 მიდორი შინტანი (იაპონია)
2 კარინა ბრაიანტი (ბრიტანეთი)
3 ანა სოფია მონდიერი (საფრანგეთი)
3 კაროლა ვილენჰოდი (ჰოლანდია)






კიმ კლაისტერსი

# კიმ კლაისტერსმა პირველი მუზარადი მოირგო

ბელგიელმა ჩოგბურთელმა კიმ კლაისტერსმა გაიმარჯვა ამერიკის ღია ჩემპიონატში, სადაც ფინალურ ბრძოლაში ფრანგ მარი პირსს სძლია — 6:3 6:1. პირსმა, რომელიც მეთორმეტე ნომრად იყო განთესილი, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანთან 28 შეცდომა დაუშვა. კლაისტერსმა სასწორის პინა თავის სასარგებლოდ 65 წუთში გადახარა. ეს გამარჯვება ბელგიელი სპორტსმენისთვის „დიდი მუზარადის" ტურნირებზე პირველი წარმატება გახდა, აქამდე კი მან ოთხჯერ წააგო ფინალური შერკინება

**ქალები**

**ნახევარფინალი**

**მარი პირსი** (საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:3, 6:2, 6:2; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — მარია შარაპოვა (რუსეთი) 6:2, 6:7, 6:3

**ფინალი**

**კიმ კლაისტერსი** — მარი პირსი 6:3, 6:2

**კაცები**

**ნახევარფინალი**

**ანდრე აგასი** (აშშ) — რობი ჯინეფრი (აშშ) 6:4, 5:7, 6:3, 4:6, 6:3; **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 7:6, 4:6, 6:3

**კლაისტერსმა** ხელის ტრავმის გამო შარშან სეზონის უმეტესი ტურნირები გააცდინა, მაგრამ მისი წლევანდელი გამარჯვება ტრიუმფალური გახდა. აქამდე კლაისტერსმა ექვს ტურნირში იმარჯვა, ხოლო ეს ბოლო წარმატება მისთვის ზედიზედ მეჩვიდმეტე გამარჯვება იყო.

ბელგიელმა სპორტსმენებმა მარი პირსი წლეულს უკვე ზედიზედ მეორედ დაამარცხეს „დიდი მუზარადის" სერიის ტურნირებზე. ფრანგმა ივნისში საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ფინალი დათმო ჟუსტინ ენენ არდენთან, ამ შაბათის გამარჯვების შემდეგ კი მარი პირსმა კლაისტერსს „მაგარი გოგო" უწოდა.

„ის ჩემპიონია. ის მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, ახლა კი, „დიდი მუზარადის" ერთ-ერთი ტურნირი მოიგო. მე მიხარია მისი წარმატებები" — თქვა მარი პირსმა.

იმის აღწერას, თუ რა ხდებოდა კლაისტერსისა და პირსის შეხვედრაში, აზრი არა აქვს. წარსულში ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრების წევრ ლეო კლაისტერსის ქალიშვილმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაამარცხა. რად ღირს თუნდაც პირველივე ჩაწოდებებზე მოგებული ქულათა 79 პროცენტი.

„კიმი ყველაზე სწრაფი ჩოგბურთელი იყო მათ შორის, ვისაც ამ ტურნირში შევხვდი. ამ შეხვედრაშიც კი, როცა მე ვამთავრებდი ასეთი დარტყმები, რომელთა შემდეგ სხვა მეტოქეებთან ქულის მოგება გარანტირებული მქონდა, კლაისტერთან არაფერი გამომდიოდა. იგი არა თუ მათ მოგერიებას, არამედ კონტრშეტევებსაც ახერხებდა" — აღიარა მარი პირსმა.

თავად გამარჯვებული კი ამბობს:

„ეს გამარჯვება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მგონია, რომ ყველა იმ უბედურებამ, რომელიც შარშანდელ სეზონში თავს დამატყდა, მე უფრო გამაძლიერა. ამიტომაც ვარ აქ და ამან გამამარჯვებინა.

ახლა ბელგიელი სპორტსმენის მწვრთნელი მარკ დეჰიუსაც მოვუსმინოთ.

„ყველაფერი ისე წარიმართა, რომ უკეთესს ვერც ვინატრებდით. როცა ჩვენ ტურნირის ბადეს გავეცანით, დავინახეთ, რომ კლაისტერსს საერთო წარმატებისთვის უნდა დაემარცხებინა ვინუს უილიამსი და მარია შარაპოვა, მერე კი გადამწყვეტ ბრძოლაშიც უნდა ემარჯვა. ჰოდა, გამოვიდა, რომ კლაისტერსს ზედიზედ სამი ფინალი უნდა მოეგო. ის ამისთვის მზად იყო და იმედები არ გამიცრუა."



# რუსის დამწევი ჯერ არ ჩანს

**ესპანეთის** გზებზე გრძელდება ვუელტას სახელით ცნობილი იქაური პოპულარული საერთაშორისო ველორბოლა. რუსმა დენის მენშოვმა მეცამეტე და მეთოთხმეტე ეტაპებზეც შეინარჩუნა ლიდერის ყვითელი მაისურა.

196-კილომეტრიან მეცამეტე ეტაპზე საუკეთესონი მასპინძლები, სამუელ სანჩესი (4:03.40) და ოსკარ პერეირო (+4) იყვნენ, ხოლო კოლუმბიელი არდილა მაურისიო ფინიშთან მესამე აღმოჩნდა (+8).

მომდევნო, მეთოთხმეტე ეტაპი, რომელიც ლა პენილიადან ლაგოს დე კოკალონკამდე 172 კილომეტრზე დაკეცილ გზაზე გადიოდა, პირველ-მეორე ადგილებზე კვლავ ესპანელთა წყვილი გავიდა, ოღონდ ამჯერად სულ სხვა შემადგენლობით. პირველი იყო ელადიო ჰიმენესი (4:25.26), ხოლო მეორე — ინიგო კუესტა (+2.20), მესამე ადგილზე კი კოლუმბიელი იტალიელმა სიმონი ჯილბერტომ შეცვალა (+1.32).

საერთო ჩათვლაში, როგორც მოგახსენეთ, კვლავ რუსი ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებზე კი ისევ ესპანელები არიან, ოღონდ აქ უკვე მათ მესამე წყვილს, რობერტ ერასსა და კარლოს სასტრს ვხედავთ.

**მეცამეტე ეტაპი. 8 სექტემბერი**
**ბურხოსი — სანტუარიუ დე ლა ბიენ აპარესიდა 196 კმ**

| | |
|---|---|
| სამუელ სანჩესი | 4 სთ. 63 წთ. 40 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | 5 სთ. 25 წთ. 46 წმ |
| 2 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბერტოლო) | +47 |
| 3 რობერტ ერასი (ესპანეთი, ლიბერტ სებუროსი) | +1.53 |

**მეთოთხმეტე ეტაპი. 9 სექტემბერი**
**ლა პენილია — ლაგოს დე კოკადონგა 172 კმ**

ელადიო ჰიმენესი (ესპანეთი კომენიდად ვალენსია)

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | 56.53.00 |
| 2 რობერ ერასი (ესპანეთი, ლიბერტ სეგეროსი) | +47 წმ |
| 3 კარლოს სასტრი (ესპანეთი CSC) | |

# სადაც არა ჯობს, B დივიზიონი სჯობს

## ფინელებმა ვერ იქართველეს

**მორჩა**, გადაწყდა — საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდა, რადგან ლიდერმა მაკედონიამ შინ ფინეთი დაამარცხა და A დივიზიონში გადასასვლელ საპლეიოფო მატჩებსაც ბალკანელები ითამაშებენ 17-24 სექტემბერს.

ეს ალიყური ქართული კალათბურთისთვის მთლად კატასტროფა არ გახლავთ, მაგრამ გვარიანად უკან გადადგმული ნაბიჯი კია. არა გვგონია, B დივიზიონში ჩარჩენამ მოკლას და გაანადგუროს საქართველოში კალათბურთი, თუმცა ისიც ფაქტია, რომ კიდევ მრავალი წელი ჩვენები ხმას ვერ ამოიღებენ საერთაშორისო სარბიელზე და თავიანთი, მოკრძალებული ადგილი ექნებათ მიჩენილი ევროპის საკალათბურთო ელიტის ზურგსუკან.

ჩვენი მჯობნი მაკედონია კი ალბათ დაძლევს C ჯგუფიდან მოულოდნელად გამძვრალ ავსტრიის ბარიერს და A დივიზიონში გადავა, სადაც 2006-07 წლებში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებს.

და სად იქნება საქართველო ამ დროს? მომდევნო ორი წელიწადი ქართველებმა კვლავ B დივიზიონში უნდა გაატარონ და თუ მაშინ მაინც გაუმართლათ, ზედა ეშელონში აინაცვლებენ. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებენ ხუთჯვაროსნები ევროჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ბრძოლას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან საქართველომ ყველაფერიც რომ მოიგოს, ბებერი კონტინენტის მთავარ ფორუმზე 2009 წლამდე ვერ მოხვდება.

აი, ასეთი მკაცრი სასჯელი დაიმსახურა საქართველომ იმის სანაცვლოდ, რომ 3 სექტემბერს ფინეთში წააგო და ჯგუფიდან გასვლის საკითხი ალალ, ოღონდ მეტად არარეალურ ბედს მიანდო. კიდევ ორი წელიწადი საქართველო მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში თუ შეხვდება ევროპელ ბობოლებს, ისე კი კვლავ ლუქსემბურგებთან და ამაზე ოდნავ უკეთეს გუნდებთან მოუწევს ბურთაობა.



ლაშა გამყრელიძემ (ბურთით) თავისიანებს 11 პასი ჩამოურიგა




ვლადიმერ ბოისა

მურად ფოლადიშვილის ფოტოები

ქართველები მაქსიმალისტები რომ არიან და თავის ბრინჯაოს სხვის ოქროს რომ უტოლებენ, იმიტომაა ეს მარცხი ბევრისთვის კატასტროფული, თორემ სიმართლე ითქვას, ამ წარუმატებლობაშიც არის რაღაც დადებითი და აი, რა:

ამ მატჩებში გამოჩნდა, რომ საქართველოს არ ჰყავს რეალურად ძლიერი გუნდი. ქართველებს ძალუძთ მაკედონიის დარი გუნდების დამარცხება, მაგრამ ამას მხოლოდ მოულოდნელი აფეთქების ხარჯზე თუ ახერხებენ. საქართველოს ნაკრები მატჩისთვის განკუთვნილი დროის უმეტესობას ფაფხურში ატარებს, თამაშს ვერ აწყობს და მეტოქის მოდუნებით თუ თავისი ეგზალტირებული ქომაგების აქტიურობით ბოძებულ შანსს იყენებს. ასე მოუგეს ხუთჯვაროსნებმა მაკედონიას და ასე გაასამტვერეს ფინეთი მესამე მეოთხედში, მთლიანობაში კი ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ქართველებმა არ იცოდნენ თამაშის არსი და ის, თუ რა ეკეთებინათ მოედანზე. ასეთი გუნდით საქართველო A დივიზიონში ალბათ გვარიანად შერცხვებოდა და ახალგაზრდულ გუნდს თავმოყვარეობა და ბრძოლისუნარიანობა შეელახებოდა.

გორდონ ჰერბერტმა თქვა, საქართველოს ძალიან ბევრი ახალგაზრდა კალათბურთელი ჰყავს და მომავლის გუნდიაო. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო დღეს არ არის ძლიერი და ამ ახალგაზრდების დალევინება-შეთამაშების შემდეგ უნდა თქვას სათქმელი. ჰოდა, თუ მართლაც ასეა საქმე და ძნელია, ამ აზრს არ დაეთანხმო, სწორედაც რომ ზედგამოჭრილია ქართველებისთვის კიდევ ორი წელი ქვემო ეშელონში ყოფნა. ჯერ ერთი, გამოჩნდა, რომ B დივიზიონში სუსტი გუნდები არ არიან და აქ კარგად შეიძლება თამაშის დახვეწა. თანაც ორ წელიწადში უფრო გაძლიერდებიან ფაჩულია, ცქიტიშვილი, ცინცაძე, გამყრელიძე და ჩვენი ნაკრების ყველა დანარჩენი ახალგაზრდა წევრი. იმავ ჰერბერტის თქმის არ იყოს, მხოლოდ შემონდ უილიამსი და ვლადიმერ ბოისა არიან ჩამოყალიბებული კალათბურთელები, ყველა სხვა დანარჩენს კი მეტ-ნაკლებად სასწავლი აქვთ ბევრი რამ.

საკუთრივ საქართველო — ლუქსემბურგზე კი რა ითქმის? ისეთი არაფერი, რადგან ამ მატჩის შედეგი იმთავითვე იყო ცნობილი და ისიც კი გავიკვირვე, ტრიბუნებზე მაკედონიასთან ჯახზე მეტი მაყურებელი რომ იჯდა. ჩვენთვის საინტერესო მაკედონია — ფინეთის მატჩი მოგვიანებით იწყებოდა და ქართველებს ლუქსემბურგელები გულის მოსაოხებლად შერჩათ.

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ხუთჯვაროსნებმა მეტოქეს ისე ვერ გადაურბინეს, როგორც ამას ჯუჯა ქვეყნის გუნდი იმსახურებდა, თუმც პირველი მეოთხედის შემდეგ იფიქრებდით, ლუქსემბურგს თავლაფი გამოწერილი აქვსო.

საქართველომ საწყის ათწუთეულში 24:7 მიანგრია მეტოქე, რომელიც მერე აზრზე მოვიდა და დარჩენილ დროში მხოლოდ 5 ქულა წააგო. ლუქსემბურგს აკლდა ნატურალიზებული შავკანიანი ცენტრი მელვინ ჯონსი, რომლის არყოფნაში ძმებმა მარტინ და პეტარ რანიაკებმა ითავეს ლიდერობა. ვიდრე მეორე მეოთხედის შუაწელში პიერ ჰოფმანმა საჯარიმო არ ჩააგდო, მანამდე ლუქსემბურგელებს ქულებს მხოლოდ ძმები რანიაკები უხვეჭდნენ.

მეტოქემ ყველაზე მეტი რაც მოახერხა, მესამე მეოთხედში სხვაობის ათ ქულამდე შემცირება იყო. ამასობაში საქართველოს ნაკრებში ისეთი კალათბურთელები გამოჩნდნენ, რომელთაც ოფიციალურ მატჩებში არასდროს უთამაშიათ — ირაკლი კეიდია, გიორგი მდივანი, გიორგი მარკოიშვილი, დავით საყვარელიძე.

შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე თამაში დროებით შეწყდა. ლუქსემბურგელთა ვეტერანი მოთამაშე პიერ ბოევერი მოედნიდან საბოლოოდ გავიდა — კარიერა დაასრულა. მას ყვავილების დიდი თაიგული გადასცა ლუქსემბურგელთა დამრიგებელმა, ხოლო საქართველოს ნაკრების თიმლიდერმა მერაბ რატიშვილმა ბოევარს ქართული ხანჯალი უსახსოვრა.

სამახსოვრო საჩუქრები მაყურებელსაც ერგო, ოღონდ მხოლოდ ოთხ მათგანს. ზაზა ფაჩულიამ და ნიკა ცქიტიშვილმა თამაშის ბოლოს სპორტული წუღები გაიხადეს და ტრიბუნაზე შექუჩებულ თინეიჯერ გულშემატკივრებში ისროლეს.

თამაში დამთავრდა და საქართველო ფინეთის ვაჟკაცობის იმედად დარჩა. სკანდინავიელებმა საქმე „ქართულად" დაიწყეს და საწყისი მეოთხედი 11 ქულით მოუგეს მაკედონიელებს. საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას იმედი ჩაესახა, მაგრამ მერე ბალკანელებმა იყოჩაღეს და პირველივე ტაიმის ბოლოს მოახერხეს დაწინაურება — 38:36. ფინეთი მაინც არ ნებდებოდა და გადამწყვეტი მეოთხედის წინ მხოლოდ ქულას აგებდა, მაგრამ საბოლოოდ მაკედონიელთა თავკაცმა თბილისში ნათქვამი სიტყვა აასრულა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ფინეთს დავამარცხებთო.

ექსიუგოსლავიელებმა 13 ქულით იმარჯვეს და საქართველოს ამბიცია — იმედებს ორწლიანი ტაბუ დაადეს.

**ირაკლი პერტაია**




პიერ ბოევარმა ლუქსემბურგის ნაკრებში კარიერა დაასრულა

მურად ფოლადიშვილის ფოტო

**მაკედონია 83:70 ფინეთი**

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 6 | 5 | 1 | 510:433 | 11 |
| საქართველო | 6 | 4 | 2 | 489:432 | 10 |
| ფინეთი | 6 | 3 | 3 | 492:460 | 9 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 6 | 387:572 | 6 |

**საქართველო 87:65 ლუქსემბურგი**

**24:7 18:19 22:19 23:20**

| | ქ | მ | პ | ჩ | დ | წთ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 5 | 1 | 11 | 1 | 3 | 26 |
| ა. ბოისა | - | 1 | 2 | - | 2 | 23 |
| ცქიტიშვილი | 8 | 5 | 1 | 2 | 1 | 28 |
| ვ. ბოისა | 25 | 5 | 4 | 2 | 4 | 30 |
| ფაჩულია | 30 | 21 | 4 | 2 | - | 31 |
| ცინცაძე | 4 | - | 2 | 1 | 1 | 17 |
| მარკოიშვილი | 8 | 3 | 1 | 1 | - | 9 |
| უგრეხელიძე | 2 | 1 | 2 | - | - | 7 |
| მდივანი | 2 | - | 1 | - | 1 | 3 |
| კეიდია | - | - | - | - | - | 3 |
| საყვარელიძე | 3 | - | 1 | - | 1 | 12 |
| ვულფი | - | 4 | - | - | 2 | 20 |
| შუმახერი | 14 | 2 | 3 | 1 | 3 | 22 |
| ბოევერი | - | 2 | 1 | - | 1 | 11 |
| მ. რანიაკი | 23 | 2 | 4 | 1 | 2 | 39 |
| პ. რანიაკი | 25 | 9 | 4 | 1 | 4 | 34 |
| შარცი | - | 3 | 2 | 2 | 1 | 19 |
| დელგადო | - | - | 1 | - | - | 21 |
| შმიტი | - | - | 1 | - | 1 | 14 |
| ჰოფმანი | 3 | 3 | - | 2 | 1 | 14 |
| ბრაუნი | - | - | - | - | 1 | 6 |

შენიშვნა: ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაჯარიმება; წთ — წუთი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთექვსმეტე ეტაპი**

# რაიკონენმა ალონსოს სატიტულო გადაუდო

**წლევანდელი** სეზონის უმთავრესი ამბავი, რასაც გუშინ მთელი საფორმულო სამყარო ელოდა, დროებით გადაიდო. 24 წლის ესპანელი ფერნანდო ალონსო „სამეფო რბოლების" სატრიუმფატორო გვირგვინს ალბათ ორი კვირის შემდეგ ბრაზილიაში გაინაღდებს, გადავადების მიზეზი კი ის გახდა, რომ ნანდომ ბელგიის სადიდპრიზო ბრძოლა თავის ერთადერთ კონკურენტ კიმი რაიკონენთან აშკარა უპირატესობით წააგო.

ბელგიური ეტაპი თავიდანვე „მაკლარენის" იყო. კვალიფიკაცია ხუან-პაბლო მონტოიამ მოიგო, მის გვერდით სტარტზე მისი თანაგუნდელი რაიკონენი მოკალათდა. მაკლარენელებმა მეწინავეობა უპრობლემოდ შეინარჩუნეს და ალბათ დუბლით გაიმარჯვებდნენ „სპა-ფრანკორშამზე", მაგრამ ფინიშამდე სამი წრით ადრე მონტოია „უილიამსში" ნიკ ჰაიდფელდის შემცვლელ ანტონიო პიცონიას შეეჯახა და არა მხოლოდ საპოდიუმო, იქნებ მიხაელ შუმახერთან ჭიდილში საბრინჯაო ადგილსაც დაემშვიდობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, რბოლისას გაწვიმდა და რაკი „სპა-ფრანკორშამზე" თითქმის ყოველწლიურად ასე ხდება, სისველემ ბრძოლის მსვლელობაზე საგრძნობლად იმოქმედა. თუმც წვიმა მთელ შვიდკილომეტრიან ტრეკს „არ ეყო" და ტრასის მეორე ნახევარი მშრალი დარჩა.

ისე გამოვიდა, რომ კონსტრუქტორთა თასზე საპირველადგილოდ გამზადებული „რენო" საკმაოდ დაზარალდა ჯანკარლო ფიზიკელას მიზეზით. ჯერ იყო და იტალიელი თავისუფალი პრაქტიკის შემდეგ ძრავის შეცვლის გამო ათი სასტარტო პოზიციით დააქვეითეს, მერე კი ათიოდ წრეში „ფიზიკოს" უმძიმესი ავარია შეემთხვა და რბოლას გამოეთიშა.

მთავარი ისაა, რომ ფინიშამდე აღსანიშნავი ბევრი აღარაფერი მომხდარა და 25 წლის რაიკონენმა წლეულს მეექვსე ეტაპის მოგებით საჩემპიონო შანსი შეინარჩუნა.

მიხაელ შუმახერს მორიგი ფათერაკი შეემთხვა, ავარიის გამო წლეულს უკვე მერამდენედ უქულოდ დარჩა და საბრინჯაო კონკურენტ მონტოიას უხეირობა რომ არა, იქნებ იმ მესამე ადგილსაც გამოემშვიდობოს.

სათქმელია მიხაელისა და ბარელ ტაკუმა სატოს შეჯახებაზე, რის შედეგადაც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი საპრიზო ბრძოლას გამოეთიშა.

ჩემპიონატის ლიდერი ფერნანდო ალონსო ამჯერად მეორე ადგილზე გავიდა. თუმც, ამითაც ძალიანაც კმაყოფილი დარჩა, რადგან საამისო რვა ქულითაც რაიკონენთან სოლიდური უპირატესობა შეინარჩუნა:

„ეს შესანიშნავი შედეგია, მითუმეტეს ამასთანა მძიმე პირობებში. მე ვცდილობდი რბოლისას შეცდომა არ დამეშვა, მითუმეტეს, რომ რამდენჯერმე მანქანა ირყეოდა სწორაც მოსახვევებში. ყოველივე აქედან გამომდინარე, დღევანდელი მეორე ადგილი იმაზე მეტია, რასაც დღეს ველოდი".

**გია ახალაძე**



AFP სპა-ფრანკორშამიდან

კიმი რაიკონენმა წლეულს მეექვსე გამარჯვებით საჩემპიონო შანსი გაიღვივა



**რბოლის შედეგები**

**ბელგიის დიდი პრიზი**
**11 სექტემბერი. სპა**

დისტანცია 44 წრე — 306,812კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (2) | რაიკონენი (მაკლარენი) | 1.30.01,3 (204,6 კმ/სთ) |
| 2. | (4) | ალონსო (რენო) | ჩამორჩა 28,4 |
| 3. | (8) | ბატონი (B.A.R) | 32,1 |
| 4. | (9) | ვებერი (უილიამსი) | 1.09,2 |
| 5. | (12) | ბარიკელო (ფერარი) | 1.18,1 |
| 6. | (14) | ვილნევი (ზაუბერი) | 1.27,4 |
| 7. | (5) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 1.27,6 |
| 8. | (19) | მონტეირო (ჯორდანი) | 1 წრით |
| 9. | (16) | კლიენი (რედ ბული) | 1 წრით |
| 10. | (7) | მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 11. | (20) | კარტიკეიანი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 12. | (18) | ალბერსი (მინარდი) | 2 წრით |
| 13. | (17) | დორნბოსი (მინარდი) | 3 წრით |
| 14. | (1) | მონტოია (მაკლარენი) | 4 წრით |
| 15. | (15) | პიცონია (უილიამსი) | 5 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (3) | ტრული (ტოიოტა) | გაიარა 34 წრე |
| (11) | კულჰარდი (რედ ბული) | 18 |
| (6) | მ.შუმახერი (ფერარი) | 13 |
| (10) | სატო (B.A.R) | 13 |
| (13) | ფიზიკელა (რენო) | 10 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**

მონტოია — 1.46,391 (235,9 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**

რ. შუმახერი — 1.51,453 (225,3 კმ/სთ)

| F1 | ავსტრალია 6 მარტი | მალაიზია 20 მარტი | ბაჰრეინი 3 აპრილი | სან მარინო 24 აპრილი | ესპანეთი 8 მაისი | მონაკო 22 მაისი | ევროპა 29 მაისი | კანადა 12 ივნისი | აშშ 19 ივნისი | საფრანგეთი 3 ივლისი | დ.ბრიტანეთი 10 ივლისი | გერმანია 24 ივლისი | უნგრეთი 31 ივლისი | თურქეთი 21 აგვისტო | იტალია 4 სექტემბერი | ბელგია 11 სექტემბერი | ბრაზილია 25 სექტემბერი | იაპონია 9 ოქტომბერი | ჩინეთი 16 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 10 | 10 | 10 | 8 | 5 | 10 | – | – | 10 | 8 | 10 | – | 8 | 8 | 8 | | | | 111 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 1 | – | 6 | – | 10 | 10 | – | 10 | – | 8 | 6 | – | 10 | 10 | 5 | 10 | | | | 86 |
| 3 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | – | 2 | – | 8 | – | 2 | 4 | 8 | 10 | 6 | 3 | 4 | 8 | – | – | – | | | | 55 |
| 4 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 3 | 5 | – | – | 2 | 4 | 2 | – | – | – | 10 | 8 | – | 6 | 10 | – | | | | 50 |
| 5 ტრული ტოიოტა, იტალია | – | 8 | 8 | 4 | 6 | – | 1 | – | – | 4 | – | – | 5 | 3 | 4 | – | | | | 43 |
| 6 ფიზიკელა რენო, იტალია | 10 | – | – | – | 4 | – | 3 | – | – | 3 | 5 | 5 | – | 5 | 6 | – | | | | 41 |
| 7 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 4 | 5 | – | 5 | 3 | – | 3 | – | 2 | 1 | 3 | 6 | – | 3 | 2 | | | | 37 |
| 8 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | – | – | – | – | 1 | 6 | 6 | 8 | – | 2 | – | – | – | – | 4 | | | | 35 |
| 9 ბატონი BAR, დ.ბრიტანეთი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 5 | 4 | 6 | 4 | 4 | 1 | 6 | | | | 30 |
| 10 ჰაიდფელდი უილიამსი, გერმანია | – | 6 | – | 3 | – | 8 | 8 | – | – | – | – | – | 3 | – | – | – | | | | 28 |

ვებერი — 29, კულჰარდი — 21, ვილნევი — 9, მასა — 8, მონტეირო — 7, ჟენე — 6, კარტიკეიანი, კლიენი — 5, და ლა როსა, ალბერსი — 4, ფრიზახერი — 3, პიცონია — 2, ლიუცი, სატო — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | ევროპა | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | ბრაზილია | იაპონია | ჩინეთი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რენო | 16 | 10 | 10 | 10 | 12 | 5 | 13 | – | – | 13 | 13 | 15 | – | 13 | 14 | 8 | | | | 152 |
| 2 მაკლარენი | 4 | 5 | 10 | 6 | 12 | 14 | 2 | 10 | – | 8 | 16 | 8 | 10 | 16 | 15 | 10 | | | | 146 |
| 3 ფერარი | 8 | 2 | – | 8 | – | 3 | 10 | 14 | 18 | 6 | 5 | 4 | 8 | – | – | 4 | | | | 90 |
| 4 ტოიოტა | – | 12 | 13 | 4 | 11 | 3 | 1 | 3 | – | 6 | 1 | 3 | 11 | 3 | 7 | 2 | | | | 80 |
| 5 უილიამსი | 4 | 6 | 3 | 5 | 3 | 14 | 8 | 4 | – | – | – | – | 5 | – | 2 | 5 | | | | 59 |

BAR — 31, რედ ბული — 27, ზაუბერი — 17, ჯორდანი — 12, მინარდი — 7 ქულა






## სოლჰეიმის ბურთები

სოლჰეიმის თასზე, ინდიანაში, ვეტერანს ბურთი დაეკარგა. ლაურა დევისმა დაჰკრა და ველარსად იპოვნა, ტბაში ჩაუვარდა თუ რა იყო. იქავე, ნატალი გულბისმა კარგად გაიარა თავისი ხვრელები. ასევე, მამამისმა ჯონმაც. ეს ტურნირი ოთხეულთა შორის ტარდება და ოჯახური იერი აქვს.

## ძმობა და ერთობა

თავდაყირა ჩემპიონია: მძლეოსნობის მსოფლიო თასზე, მონაკოში, ამერიკელმა ალენ ჯონსონმა 110 მეტრზე თარჯრბენი მოიგო და მისმა თანაგუნდელმა დომინიკ არნოლდმა ასე მიულოცა გამარჯვება. სხვათა შორის, არნოლდი მეორეზე გავიდა.






## ძველი რალი

„მეგობრობის რალი", ძველი მადლიანი მანქანებით, 16 ქვეყანაზე გადის. გზად 27 615 კილომეტრია. ახლა მრბოლელები ისლამაბადს მისულან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჭოლხევრია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიქრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ ბურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნასიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჩიანი, გიორგი მჭედლიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხინჩაგაშვილი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლიაურაძე, თამარ მოლოკველიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ცოცხალაშვილი, ბადრი კვირიკაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოვრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208, ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge